ისტორიის გაყალბება

პროპაგანდის ინსტრუმენტი

FAKING HISTORY

A TOOL OF PROPAGANDA

კონკურსი ისტორიაში
HISTORY COMOETITION
2023-2024



SOVLAB
SOVIET PAST RESEARCH LABORATORY
vhs
DVV International
EUSTORY
მასწავლებელთა ეროვნული ასოციაცია
Georgian Association of History Educators
Körber Stiftung

ისტორიის გაყალბება

პროპაგანდის ინსტრუმენტი

FAKING HISTORY

A TOOL OF PROPAGANDA

კონკურსი ისტორიაში
History Competition
2023-2024

ლიკა კაციტაძე
ნანა ციხისთავი
დაკაბადონება: მაგდა ცოცხალაშვილი
ყდის და პლაკატის დიზაინი: ირაკლი დევდარიანი
რედაქტორი: ნინო ციხისთავი
თარგმანი: ეკატერინე ციხისთავი

მოსწავლეების ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებები და
შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს და არ გამოხატავს
ორგანიზატორთა მოსაზრებას.
სტილი დაცულია.

HISTORY COMPETITION
ԱՐՑԱԽԻ ՊԱՏՄԱԿԱՆ ՄՐՑՈՒՅԹ

შესავალი

ისტორიის მეოთხე კონკურსი საქართველოში - ტრადიცია გრძელდება

ისტორიის კონკურსი, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით 2017 წლიდან რამდენიმე ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება, საქართველოში წელს მეოთხედ ჩატარდა.

კიორბერის ფონდთან (Korber Foundation), ევროპული ქსელ EUSTORY-თან და რამდენიმე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად DVV International-ი მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში 2017 წლიდან ახორციელებს პროექტს „ისტორიის კონკურსები“ (https://historycompetitions.ge), რომელსაც გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტრო აფინანსებს. პარტნიორები საქართველოს მხრიდან არიან ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (იმსა) და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (სოვლაბი).

ახალგაზრდებთან, სამოქალაქო საზოგადოების აქტიორებთან და მასწავლებლებთან მუშაობის თვალსაზრისით პროექტი მეტად ეფექტური აღმოჩნდა. ბოლო 8 წლის განმავლობაში ის უკვე მეოთხედ ჩატარდა საქართველოში და თემების ფართო სპექტრიც მოიცვა, როგორებიცაა: „ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში“ (2017-2018); „მიგრაცია - ცხოვრება ახალი ფურცლიდან“ (2019-2020); „უარყოფასა და ნოსტალგიას შორის: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორია ოჯახებსა და ადგილობრივ თემებში“ (2021-2022) და ბოლოს, განსაკუთრებით საინტერესო, აქტუალური და ამავე დროს რთულიც - 2023-2024 წლების კონკურსის თემა - „პროპაგანდა - ისტორიის გაყალბების მექანიზმი“, რომელზეც მოსწავლეებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგების ხელმძღვანელობით იმუშავეს.

კონკურსს წინ უძღვოდა ინტენსიური მოსამზადებელი პერიოდი. ტრადიციულად გაიმართა ტრენინგები, ონლაინ შეხვედრები და დისკუსიები, რომლებიც ითვალისწინებდა «ისტორიის სწავლების მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის». ამ მიზნით, დარგის წამყვანი სპეციალისტების დახმარებით, საბჭოთა და დამოუკიდებლობის პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოების შედარებითი კვლევა ჩატარდა ისტორიაზე დაფუძნებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური და კულტურული პროპაგანდის მიმართულებით, ხოლო კვლევის საფუძველზე მეთოდური სახელმძღვანელო მომზადდა სკოლის მასწავლებლებისა და უმაღლესი სკოლების სტუდენტებისთვის. ნაშრომის პრეზენტაციებმა დედაქალაქისა და რეგიონების საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ფართო სპექტრი მოიცვა.

2023-2024 წლის ისტორიის კონკურსზე ოფიციალურად შემოვიდა 32 ნამუშევარი, აქედან 30 იყო ესე; 1 - ვიდეო; 1-ფოტოკოლექცია. სპეციალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით კონკურსის გამარჯვებულები 5-კაციანმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ:

ამირან ჯამაგიძე - თბილისის კლასიკური გიმნაზიის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის გამგე, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ინსტიტუტის დოქტორანტი;

გიორგი კიკნაძე - ისტორიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნათია ფირცხალავა - საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის ისტორიის მასწავლებელი, საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ტრენერი, EuroClio-ს პროექტის Historiana ტრენერი;

სოფიო ცინცაძე - ისტორიის დოქტორი (კავკასიის უნივერსიტეტი);

ბადრი ოყუჯავა - საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი.

კონკურსში გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი ვაუჩერები გადაეცათ. ადგილები კი ასე გადანაწილდა:

პირველი ადგილი

ვიდეო - „პიონერული ორგანიზაცია, როგორც საბჭოთა პროპაგანდის საუკეთესო საშუალება.“

ავტორი: ნიკოლოზ სხირტლაძე; პედაგოგი: ეკა მაისურაძე; თბილისის N133 საჯარო სკოლა.

მეორე ადგილი

ესსე - „წარსულის მოჩვენება.“

ავტორი: მარიამ არეშიძე; პედაგოგი: მიხეილ სართანია, თბილისის ჯამლეტ ხუხაშვილის სახელობის N50 საჯარო სკოლა.

მესამე ადგილი

ესსე - „საბჭოთა პროპაგანდა - გონებაზე ზემოქმედების საბჭოთა ,,ინსტრუმენტი“.

ავტორები: მარიამ ტალახაძე, ანი კიკაძე, ლიზი მახარაძე; პედაგოგი: ნათელა გოგოლაძე;

ლესია უკრაინკას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N3 საჯარო სკოლა.

ჟიურის წამახალისებელი პრიზი

ესსე - „ისტორიის გაყალბება აფხაზეთის კონფლიქტის ჭრილში“

ავტორი: მიქაელ კურტანიძე; პედაგოგი: ჯაბა ლაბაძე; სურამის მეორე საჯარო სკოლა.

ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის (იმსა) წამახალისებელი პრიზი

ესსე - „ქაქუცა ჩოლოყაშვილი - გმირი თუ ანტიგმირი?“

ავტორი: თათული კუპრაძე; პედაგოგი: ნანა სოლოღაშვილი; თბილისის 89-ე საჯარო სკოლა.

გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება 2024 წლის 22 სექტემბერს გაიმართა თსუ-ს ზვიად გამსახურდიას სახ. აუდიტორიაში და ტრანსლირებული იყო პროექტის ფეისბუკის გვერდზე.

ცერემონიას ესწრებოდნენ **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს კულტურის ატაშე - ლაიფ შტრიოსნერი, საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენელი - თეა ქარჩაივა, ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი - ნანა ციხისთავი, DVV International-ის საქართველოს ოფისის წარმომადგენელი, პროექტის კოორდინატორი - ლიკა კაციტაძე; ასევე, პროექტში მონაწილე პედაგოგები, მათი მოსწავლეები და მშობლები. დაჯილდოების ცერემონიალში ონლაინ ფორმატში მონაწილეობდა, ასევე, Körber-ის ფონდის დირექტორი - კატია ფაუზერი.**

პირველი ადგილის მფლობელმა, ნიკოლოზ სხირტლაძემ და მისი პედაგოგმა, ეკატერინე მაისურაძემ „ევრონიუს ჯორჯიას“ სატელევიზიო ეთერში ისაუბრეს კონკურსის შესახებ.

ტრადიციულად, კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდები რომელიმე ევროპულ ქალაქში იკრიბებიან და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ. ამჯერად, ჩვენი პროექტის 4 გამარჯვებული მოსწავლე რიგაში გაემგზავრა, სადაც ისტორიის ბანაკის პარალელურად ევროპული ისტორიის კონკურსების ქსელის EUSTORY-ის სამიტიც იმართებოდა. სამიტში მონაწილეობის მისაღებად, ასევე, მიიწვიეს ისტორიის კონკურსების წინა პროექტების გამარჯვებული ორი ქართველი ახალგაზრდაც - რუსუდან ჯანჯალაშვილი და ირაკლი ჯანაშია. ამასთანავე, პროექტში მონაწილე 5 პედაგოგი მონაწილეობდა ისტორიის მასწავლებელთა საერთაშორისო საშემოდგომო აკადემიაში, რომელიც ჩერნოგორიაში/ბუდვაში გაიმართა. წინა პროექტში ამგვარი ღონისძიების მასპინძელი საქართველო იყო.

პროექტის ფარგლებში გამოიცა ფლაერები, პლაკატები, კონკურსში გამარჯვებული ნაშრომების პუბლიკაციის ონლაინ ვერსია და ასევე, პროექტის ფარგლებში შემუშავებული „ისტორიის სწავლების სახელმძღვანელო - მეთოდური რეკომენდაციები კრიტიკული

აზროვნების განვითარებისათვის“, რომელიც ისტორიაზე დაფუძნებულ პროპაგანდას მიეძღვნა. 2 წუთიანი შემაჯამებელი პრომო-ვიდეო მიზნად ისახავს პროექტის ფარგლებში განხორციელებული მრავალფეროვანი ღონისძიებების, ინტერვიუებისა და სხვა ისტორიული კადრების დემონსტრირებას ფართო საზოგადოებისთვის. ყველა ეს მასალა ემსახურება ისტორიის კონკურსების პოპულარიზაციას საქართველოში და მათი მოძიება დაინტერესებულ პირებს საქართველოს ისტორიის კონკურსების განახლებულ ვებგვერდზე, ფეისბუკზე, იუთუბის არხზე და DVV International-ის ვებგვერდზე შეუძლიათ.

INTRODUCTION

The fourth history contest in Georgia - the tradition continues

The history competition, which has been held annually in several countries since 2017 with the financial support of the German Ministry of Foreign Affairs, was held in Georgia for the fourth time this year.

Together with the Körber Foundation, the European network EUSTORY and several local non-governmental organizations, DVV International has been implementing the project History Competitions (https://historycompetitions.ge) in Moldova, Georgia, Armenia and Ukraine since 2017. It is funded by the Federal Ministry of Foreign Affairs of Germany. Partners from the Georgian side are the Georgian Association of History Teachers (Imsa) and the Laboratory for the Research of the Soviet Past (Sovlab).

In terms of working with young people, civil society actors and teachers, the project turned out to be very effective. In the last 8 years, it was held in Georgia for the fourth time and covered a wide range of topics, such as: My ancestor at my age (2017-2018); Migration - life from a new page (2019-2020); Between Denial and Nostalgia: Soviet and post-Soviet history in families and local communities (2021-2022) and finally, especially interesting, relevant and at the same time difficult - the topic of the 2023-2024 competition: Faking history - a tool of propaganda, on which students from different regions of Georgia in history and civic education worked under the guidance of teachers.

The competition was preceded by an intensive preparation period. Traditionally, trainings, online meetings and discussions were held, which provided for the elaboration of methodological recommendations “A toolkit for critical history teaching. For this purpose, with the help of leading specialists in the field, a comparative study of history textbooks of the

Soviet and independence period was conducted in the direction of history-based political, economic, social, ideological and cultural propaganda, and based on the research, a methodological manual was prepared for school teachers and students of high schools. The presentations of the work covered a wide range of professors and students of secondary and higher schools of the capital and regions.

32 works were officially submitted to the 2023-2024 history competition, 30 of which were essays, 1 – video 1-photo collection. Based on special criteria, the winners of the competition were identified by a 5-member jury, which included:

Amiran Jamagidze - Head of Public Sciences Department of Tbilisi Classical Gymnasium, Doctoral student of TSU Institute of Psychology and Education Science;

Giorgi Kiknadze - doctor of history, associate professor of European University;

Natia Firtskhalava - history teacher of the international baccalaureate diploma program, trainer of Georgian history teachers, trainer of EuroClio project Historiana;

Sofio Tsintsadze - Doctor of History (Caucasus University);

Badri Okujava - Researcher of the Research Laboratory of the Soviet Past.

Certificates and paid vouchers were given to the winners of the competition. The seats were distributed as follows:

first place

Video - Pioneer organization as the best means of Soviet propaganda.

Author: Nikoloz Skhirtladze; Teacher: Eka Maisuradze; Tbilisi N133 public school.

second place

Essay - Ghost of the Past.

Author: Mariam Areshidze; Teacher: Mikheil Sartania,Tbilisi Jamlet Khukhashvili Public School N50.

third place

Essay - Soviet propaganda - a Soviet instrument for influencing the mind.

Authors: Mariam Talakhadze, Ani Kikadze, Lizi Makharadze; Teacher: Natela Gogoladze;

Surami (Khashuri Municipality) Lesia Ukrainka Public School N3.

Jury incentive prize

Essay - Forgery of history in the context of the Abkhazian conflict

Author: Mikael Kurtanidze; Teacher: Jaba Labadze; Surami Public School N2.

History Teachers Association (IMSA) incentive prize

Essay - Kakutsa Cholokashvili - hero or anti-hero?

Author: Tatuli Kupradze; Teacher: Nana Sologhashvili; Tbilisi public school N89.

The awarding ceremony of the winners was held on September 22, 2024 at the TSU Zviad Gamsakhurdia auditorium and was broadcast on the project's Facebook page.

The ceremony was attended **by the cultural attaché of the Embassy of the Federal Republic of Germany - Leif Strößner, the representative of the Ministry of Education of Georgia - Thea Karchava, the president of the Association of History Teachers - Nana Tsikhistavi, the representative of the Georgian office of DVV International, the project coordinator - Lika Katsitadze; also, teachers participating in the project, their students and parents. Katya Fauser, director of the Körber Foundation, also took part in the award ceremony online.**

The winner of the first place Nikoloz Skhirtladze and his teacher Ekaterine Maisuradze talked about the competition on Euronews Georgia television.

Traditionally, young people who won the competition gather in a European city and share their experiences with each other. This time, 4 winning students of our project went to Riga, where the EUSTORY summit of the European history competition network was held simultaneously with the history camp. Two Georgian youths, winners of previous history contest projects - Rusudan Janjalashvili and Irakli Janashia - were also invited to participate in the summit. In addition, 5 teachers of the project participated in the International Fall Academy of History Teachers, which was held in Montenegro/Budva. In the previous project Georgia was the host of the event.

As part of the project flyers, posters, an online version of the publication of the winning works were published as well as A Toolkit for Critical History Teaching developed within the project and dedicated to history-based propaganda. The 2-minute summary promo-video aims to demonstrate to the general public the various events, interviews and other historical footage carried out within the framework of the project. All these materials serve to promote history contests in Georgia and interested persons can find them on the updated website of Georgian history contests, Facebook, YouTube channel and DVV

პირველი ადგილი
FIRST PLACE

ვიდეო - პიონერული ორგანიზაცია, როგორც საბჭოთა პროპაგანდის საუკეთესო საშუალება

VIDEO - PIONEERING ORGANIZATION AS THE BEST MEANS OF SOVIET PROPAGANDA

ავტორი:
ნიკოლოზ სხირტლაძე
პედაგოგი:
ეკა მაისურაძე

თბილისის N133 საჯარო სკოლა

Author:
NIKOLOZ SKHIRTLADZE
Teacher:
EKA MAISURADZE

N 133 public school, Tbilisi

პიონერული ორგანიზაცია, როგორც საბჭოთა პროპაგანდის საუკეთესო საშუალება

საქართველოს თანამედროვე ისტორიასა და პოლიტიკაში ყველაზე ნათლად შეინიშნება კომუნისტთა 70-წლიანი მმართველობის კვალი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვია მათი მხრიდან წარმოებულმა მწვავე პროპაგანდამ, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდობის ბოლშევიკური იდეოლოგიისკენ მოქცევას. იმისათვის, რათა ერთხელ და საბოლოოდ გათავისუფლდეს ჩვენი ერი წარსულის ამ სისხლიანი გადმონაშთისაგან, საჭიროა ყველა იმ ხერხის გააზრება, რომლებსაც წითლები ახორციელებდნენ მოსახლეობის დასამორჩილებლად და იმ ცრუ წარმოდგენების უკუგდება, რა მიზნითაც არის შექმნილი ეს ვიდეო. ყურადღება მეტწილად გამახვილებულია საბჭოთა პროპაგანდის უმთავრეს ინსტრუმენტზე – „ახალგაზრდა პიონერთა ბანაკზე“, ამ უწყების შექმნის ისტორიასა და მის მთავარ დანიშნულებებზე, თუ როგორ ახერხებდა კრემლი მისი მეშვეობით ახალ თაობაში საკუთარი შეხედულებების გავრცელებასა და მათში კომუნისტური პარტიისადმი ერთგული განწყობის გაღვივებას.

PIONEERING ORGANIZATION AS THE BEST MEANS OF SOVIET PROPAGANDA

In the modern history and politics of Georgia, traces of the 70-year rule of the communists can be most clearly observed, which was primarily caused by their fierce propaganda aimed at turning the youth towards the Bolshevik ideology. In order to once and for all free our nation from this bloody relic of the past, it is necessary to understand all the methods that the Reds used to subjugate the population and reverse the false notions for which this video was created. Attention is largely focused on the main instrument of Soviet propaganda - “Young Pioneers Camp”, the history of the creation of this agency and its main purposes, how the Kremlin was able to spread its views to the new generation through it and instill loyalty to the Communist Party in them.

მეორე ადგილი
SECOND PLACE

წარსულის მოჩვენება
GHOST OF THE PAST

ავტორი:
მარიამ არეშიძე
პედაგოგი:
მიხეილ სართანია

თბილისის ჯამლეტ ხუხაშვილის სახელობის N50
საჯარო სკოლა

Author:
MARIAM ARESHIDZE
Teacher:
MIKHEIL SARTANIA

Jamlet Khukhashvili N 50 public school, Tbilisi

წარსულის მოჩვენება

„ხალხის განადგურების ყველაზე ეფექტური გზა, მათი ისტორიის მათეული აღქმის უარყოფა და განადგურებაა“ ციტირებს ავტორი და ცდილობს ცოცხალი მოწმეების, საბჭოთა კავშირში დაბადებულთა (ისტორიკოსი ბებიისა და მამუკა არეშიძის, რომლის ბიძაც ზვიად გამსახურდია იყო) მონაყოლზე დაყრდნობით გააცოცხლოს და მართლად აღგვიწეროს საქართველოს გაყალებული უყახლესი ისტორია. მოგვითხრობს, როგორ ანაცვლებდნენ ჭშმარიტ ფაქტებს ცრუ ინფორმაციას კომუნისტები და „ნებსით თუ უნებლიეთ უნერგავდნენ სკოლებში ბავშვებს“, რომ ადვილი სამართავები გამხდარიყვნენ და ამ გზით მიეღწიათ თავიანთი მიზნისთვის. ნაშრომში მოკლედაა მიმოხილული რუსეთის ფარული თუ აშკარა მცდელობები აღმოეფხვრა საქართველოში პატრიოტული გრძნობა, რისთვისაც აუცილებელი იყო „ხალხის განადგურების ყველაზე ეფექტური გზა, მათი ისტორიის მათეული აღქმის უარყოფა და განადგურება“, მათი რეალობიდან მოწყვეტა. თუმცა საბედნიეროდ, ეს მცდელობა მცდელობად დარჩა. ქართველებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ რაზეც მტყველებს ბოლო 100 წლის ისტორია.

GHOST OF THE PAST

“The most effective way to destroy the people is to deny and destroy their false perception of history”, quotes the author and tries to revive and truly describe the ancient history of Georgia based on the narration of living witnesses of the soviet period (historian grandmother and Mamuka Areshidze, whose uncle was Zviad Gamsakhurdia). She tells us how the communists replaced the true facts with false information and “willingly or unwittingly indoctrinated children in schools” to make them easy to control and thus achieve their goals. The paper briefly reviews Russia’s covert or overt attempts to eliminate patriotic feelings in Georgia, for which it was necessary to “use the most effective way to destroy the people, to deny and destroy their false perception of history”; Fortunately, however, the attempt remained as an attempt. According to the history of Georgian of the last 100 years Georgians have not stopped fighting.

„მახსოვს საკმაოდ მწარე გადმონაშთები ჩემი ღრმა ბავშვობიდან. სკოლის პირველი დღე, ახალი წიგნები იღლიაში და ამაღელვებელი, მაგრამ ახლის მომასწავებელი გზა, რომელიც იმ დღეს გავიარე. როდესაც ისეთი პატარა ხარ, რომ სწავლის სირთულე არ გამოგიცდია და შენს ირგვლივ სამყაროს თითოეული ასპექტის შეცნობა გსურს, ის დაწესებულება, რომელსაც სკოლა ჰქვია, ახალი ცხოვრების დასაწყისს ნიშნავს. ჩვენი სკოლა თქვენისგან საკმაოდ განსხვავებული იყო, სწავლების სისტემაც. მახსოვს ის იმედგაცრუებაც, რომელიც სკოლაში გატარებულ პირველ დღეს მოჰყვა. ისეთი სრულიადაც არ იყო, როგორიც წარმომედგინა. კვირაში სამჯერ მიტარდებოდა ისტორია, აქედან ორი საბჭოთა კავშირის ისტორია, ერთი კი საქართველოს ისტორია, იქიდანაც რამდენი იყო სიმართლე ეს არის საკითხავი. წარმოიდგინე, ჩვენი ქვეყნის ისტორია, რომელიც ასაკით ძველ რომაულს არ ჩამოუვარდებოდა, მთელი სამი წლის განმავლობაში გასავლელ ერთ წიგნში იყო ჩაწნეხილი. როგორც ჩანს, რის გაყალბებასაც ვერ ახერხებდნენ, მის უბრალოდ გაქრობას ცდილობდნენ.“

ბებიაჩემი 1962 წლის 10 დეკემბერს დაიბადა, ქალაქ თბილისში. საბჭოთა კავშირის მიერ მრავალი ზეწოლის მომსწრე გამხდარა, მრავალჯერ დაუცავს თავისი სამშობლო. სკოლის დამთავრების შემდეგ თავად გახდა მასწავლებელი და მრავალჯერ ჰქონია შეხება ძველ, საბჭოთა დროინდელ ისტორიის წიგნებთან. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დღევანდელი თემისათვის ის გამომეკითხა, გამეგო უფრო მეტი საბჭოთა რეჟიმისა და მათ მიერ გაყალბებული ისტორიის შესახებ, ჩამეხედა თითოეული საბჭოელი ბავშვის ტვინში და საბოლოოდ გამეგო – იყო თუ არა ისტორიის გაყალბება ერთ-ერთი

მთავარი მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა ამდენ ხანს იარსება.

საბჭოთა კავშირის დროს სკოლის სისტემა მართლაც რომ ბევრ ასპექტში გამოუსადეგარი და, ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ, გაყალბებული იყო. „ვინც აკონტროლებს წარსულს, აკონტროლებს მომავალს: ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულს“. სწორედ ასე ცხოვრობდა საქართველო 1921-1991 წლებში. კომუნისტური პარტია თავად წერდა და აყალბებდა ისტორიას იმისდა მიხედვით, თუ ვინ უნდა აღექვა ხალხს გმირად, ვინ ანტიგმირად, ვინ მტრად და ვინ მოყვარედ. მთლიანი საკაცობრიო ისტორიის სიმართლე ერთი კაცის ხელში იყო, რომელიც წყვეტდა, რა უნდა დაეწერა ხალხს ჟურნალებში, როგორი ტიპის ინფორმაცია უნდა მიეწოდებინათ ხალხთა დიდი მასებისთვის და, რაც მთავარია, როგორი ისტორია უნდა ესწავლათ მომავალ დიდ საბჭოელებს. სსრკ მთლიანად ერთ რამეზე იდგა და ეს ხალხის რეალობიდან სრული მოწყვეტა იყო. სწორედ ამას ემსახურებოდა ის აბსურდული „ფაქტები“ საბჭოურ სკოლებში, რომლებსაც ნებსით თუ უნებლიეთ უნერგავდნენ ბავშვებს. ჯერ კიდევ ახალ გონებას თუ ისე დაამახინჯებ, რომ მან არ იცოდეს სიმართლე, თავისუფლება და ფაქტები, ის უადვილესად სამართავი პაიკი იქნება ჭადრაკის დიდ დაფაზე. დამახინჯებული გონება მეორეს დაამახინჯებს, ის ვერ შეძლებს საკუთარ შვილებს სიმართლე დაანახოს ან თუნდაც თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილი გააღვივოს მათში. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სკოლებში მხოლოდ იმ დამუშავებული, დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდებას ბავშვებისთვის, რომელიც თავად კომუნისტურ პარტიას აწყობდა.

„სიტყვებით აღწერა შეუძლებელია როგორ მეზიზღებოდა ხოლმე ლიტერატურისა და ისტორიის წიგნების გადაშლა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბანდიტი იყო მათი სიტყვებით, პაოლო იაშვილი – ლაჩარი. მხოლოდ იმას გეუბნებოდნენ, რომ თავი მოიკლა, მიზეზი კი ბნელ კუთხეებში იყო მიჩქმალული, ვითომ არც არსებობდა. რა თქმა უნდა გეტყოდნენ ქართველ საზოგადო მოღვაწეებზე, როგორ ებრძოდნენ

ისინი რუსეთს და მისი ბასრი კლანჭებიდან როგორ ცდილობდნენ საქართველოს დახსნას, მაგრამ არა იმას, რომ სწორს აკეთებდნენ. ნებისმიერ ქართველი, რომელსაც ახლა პატივს ვცემთ, მის მიერ შეტანილი წვლილის გამო საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში, ძველად მტრად იყო შერაცხული. ყველა გმირის ისტორია უკუნ ღამეში საჩურჩულო მითებად ქცეულიყო. საკუთარ სახლშიც კი ბებიაჩემმი ჩუმად მიყვებოდა ხოლმე ქართველთა ნამდვილ ისტორიას და შიგადაშიგ სტალინის დიდი სურათისკენ იცქირებოდა, რომელიც მისი სიკვდილის დიდი ხნის შემდეგაც ეკიდა და ჩარჩოში ჩასმული მკაცრი თვალით გადმოსცქეროდა მთელ ოთახს. მისი თვალები თითქოს მხოლოდ ერთს ამბობდნენ: „მაინც მესმის, მაინც გიყურებთ“.

ყველაფერი ერთ დიდ კონკურსს ემსგავსებოდა. ვის შეუძლია დაივიწყოს წარსული ყველაზე სწრაფად? ვის შეუძლია გაყიდოს სამშობლო ყველაზე იაფად? „ხალხის განადგურების ყველაზე ეფექტური გზა, მათი ისტორიის მათეული აღქმის უარყოფა და განადგურება“.

და ასე, ხელის ერთი მოსმით გაქრა ის ყველაფერი, რაც ქართველებმა საუკუნეების მანძილზე ვაშენეთ. წინარე ისტორია ცეცხლში დაიწვა და მისგან დარჩენილი ფერფლი კი ხალხს გაყალბებული მიაწოდეს.

ხალხის გულში პატრიოტიზმმა მიიძინა. მთავარი სოციალიზმი გახდა. ისინი ყოველდღიური მატერიალიზმით ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ გამოღვიძებას ერთი პატარა მიზეზი აკლდა, სულ პაწია, რაც საკმარისი იქნებოდა ქართველთა გულებში ქვეყნის სიყვარულის ისევ გასაჩაღებლად, მათ კი პატარა კი არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა მიიღეს.

„1978 წლის 24 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად რუსული უნდა გამოცხადებულიყო. იმ დღემდე ქართველებს გვქონდა სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ შენარჩუნებული: ენა, მამული, სარწმუნოება. მაღალი თანამდებობის მქონე პირების

მიერ ამ ნაბიჯის გადადგმით ყველა მიხვდა, რომ ჩვენი, როგორც ქართველების მიწასთან გასწორება, გადათელვა, გადაჯიშება სურდათ. მაშინ მეათე კლასში ვიყავი. მახსოვს როგორ ცდილობდნენ სკოლის მოსწავლეები დაერწმუნებინათ, რომ სახელმწიფო ენას მხოლოდ იმიტომ ცვლიდნენ, რომ ის საბჭოთა კავშირის ერთიანობის ახალი დამადასტურებელი საბუთი იქნებოდა. მაგალითები ისევ ისტორიიდან მოჰყავდათ და გვახსენებდნენ, როგორი "ბედნიერი" იყო ხალხი მეფის რუსეთის დროს, როდესაც ყველა ოჯახში მხოლოდ რუსული საუბარი ისმოდა. თანამედროვე ენაზე რომ გადმოვთარგნოთ, აწმყოს კონტროლი რომ ვეღარ გაუწიეს, ისევ წარსულს ეცნენ და მისი გადაკეთება დაიწყეს. „ხო, აბა რა, ვფიქრობდი ჩემთვის, ბედნიერი იყო მაშინ ერი, როდესაც საკუთარ ენაზე ლაპარაკის საშუალება არ ჰქონდა. ბედნიერი იყო ერი, როდესაც ქართველს საკუთარ ენაზე საუბრის გამო ენას აჭრიდნენ". „ჩვენისთანა ბედნიერი არის განა სადმე ერი?"... მინდოდა მათთვის სამაგიერო გადამეხადა, სამაგიერო გადამეხადა ყველა იმ ტყუილის გამო, რომელსაც ლანგარზე მორთმეულს გვიტენიდნენ თავში. მინდოდა სამაგიერო გადამეხადა ყველა იმ დამახინჯებული ფაქტის გამო, ყველა იმ შეურაცხყოფის გამო, რომელსაც ტალახივით ესროდნენ დიდ ქართველებს და მათ წმინდა, თეთრ ტანსაცმელს უხამსოებით სვრიდნენ.

14 აპრილს რუსთაველზე რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა, აქედან უმრავლესობა სტუდენტი იყო, რომელთაც სათავეში პროფესორები ედგნენ. მათ მხარეს მაშინ ბევრი არისტოკრატიც დადგა, სიმართლე უნდა ითქვას.

ჩვენთან სკოლაში კარებები ჩარაზეს, სულ თითის ქნევით გაგვაფრთხილეს გარეთ არ გავსულიყავით, მითუმეტეს მე მთაწმინდაზე ვცხოვრობდი, 47-ე სკოლაში დავდიოდი და ეს ტერიტორიები უფრო მკაცრად კონტროლდებოდა. მთელი დღე ციხის პატიმრებივით გვამყოფეს, მაგრამ ქართული ენა მაინც ვერ გადააშენეს. იმ დღეს კომუნისტებმა უკან დაიხიეს, რაც პატარა მოვლენა არ გახლდათ, ეს გამარჯვება იყო, ქართველი ხალხის გამარჯვება და პირველი გა-

მარჯვება, რომელსაც მე შევესწარი.

როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა კავშირი საუკეთესო იყო ისტორიის გაყალბებაში, მაგრამ საგულისხმოა ასევე ის ფაქტიც, რომ ახლა, საბჭოთა კავშირის დაშლიდან თითქმის 33 წლის შემდეგაც კი, რაღაც ისტორიული ფაქტები ბუნდოვანი და დაულაგებელია. ამის ერთ-ერთი მაგალითი სწორედ 1978 წელს განვითარებული მოვლენებია. იმ დროს ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ, მასთან მომუშავე პირები ახლა უკვე ყველანაირი წნეხის გარეშე აცხადებენ, რომ საქართველოში რუსულის სახელმწიფო ენად გამოცხადების მთავარი ინიციატორი თავად შევარდნაძე იყო. მათი მტკიცებით, ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით მომუშავე კომისიამ ჩაწერა პროექტში სახელმწიფო ენად რუსული და ეს ტექსტი მოსკოვში წაიღეს, ხოლო როცა თბილისში სიტუაცია დაიძაბა, შევარდნაძემ ყველაფერი თავისივე სასიკეთოთ შემოატრიალა. პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილის ამ განცხადებას ამერიკული გაზეთი „The Times“-ის 17 აპრილის სტატია ამყარებს, ის საქართველოში მყოფი ორი ამერიკელი ჟურნალისტის: რობერტ მაკკეის და ერიკ რაიმენის მიერ იქნა მომზადებული, რომლის მიხედვითაც მომიტინგეებთან მოსალაპარაკებლად გამოსულმა შევარდნაძემ ხალხს მიმართა: „ჩემო შვილებო, რას აკეთებთ?“ რამაც ხალხში არეულობა გამოიწვია. მომიტინგეებმა შევარდნაძეს უყვირეს: „ჩვენ შენი შვილები არ ვართ!“ ხალხის მეორე ნაწილს კი ღრმად სწამს, რომ ეს კიდევ ერთი მორიგი ზღაპარია, იმდროინდელი რუსული კომუნისტური პარტიის მიერ შეთხზული, რომელიც მათ საშუალებას აძლევდა, კიდევ ერთი რთული სიტუაციიდან დაეძვრინათ თავი.

როგორც ეს ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითიდან დავინახეთ, საბჭოთა კავშირის დროს დამახინჯებული ზოგიერთი ამბის ისტორიის ფაქტებად წარმოჩენა ძალიან რთულია. ისტორიკოსები დღესაც ცდილობენ მოვლენები თანმიმდევრულად დაალაგონ და ყველანაირი პოლიტიკური ძალდატანების გარეშე დაგვიხატონ სურათი, რომელიც სიმართლეს შეესაბამება.

ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან:

„ისტორიის მთავარი გაყალბება ეხებოდა იმას, რომ ჩვენ პრაქტიკულად არაფერი ვიცოდით ჩვენი 1917-1921 წლების ისტორიაზე. იქ ლაპარაკი იყო სულ იმის თაობაზე, რომ საზიზღარი მენშევიკები ხალხს ავიწროებდნენ, მრავალ საშინელებას ჩადიოდნენ, რომ ისინი მშრომელი ხალხის მოთხოვნით გაყარეს ხელისუფლებიდან და რომ აჯანყება საქართველოში მათ წინააღმდეგ მოხდა. სინამდვილეში ეს იყო ტყუილი, არავითარი აჯანყება საქართველოში მათ წინააღმდეგ არ მომხდარა. ეს იყო საბჭოთა კავშირის უმთავრესი ტყუილი და ჩვენ ეს ვიცოდით. ვისაც ჰყავდა დიდი ბებია-ბაბუა, რომელთაც წარმოდგენა ჰქონდათ, რაზე იყო საუბარი, გვეუბნებოდნენ, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. სხვათა შორის, მასწავლებლებიც უკვე მეათე კლასში ამბობდნენ, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ ისინი ვინც ჩახედული არ იყო სიმართლეში, რა თქმა უნდა, ისტორიის გაყალბების მსხვერპლნი გახდნენ. გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენი მოკავშირეების როლი მინიმალიზირებული იყო: ამერიკელების, ინგლისელების... მაგალითად, პოლონეთის წინააღმდეგობა გაყოფილი იყო ორად: ერთი პოლონეთის დამოუკიდებლობასა და მის დასავლეთ ბლოკში ყოფნას უჭერდა მხარს და მოხსენიებული იყო როგორც საზიზღრები და ცუდები – არმია კრაიოვა და მეორე – არმია ლუდოვა, რომელიც იყო კომუნისტური და, შესაბამისად, კარგი, მისაღები. მოკლედ რომ ითქვას, ტენდენციური იყო საერთოდ ისტორია. არაერთი ფაქტი იყო ამდაგვარი: საფრანგეთის წინააღმდეგობა იყო ცუდი და საბჭოთა კავშირის პარტიზანული მოძრაობა ან სხვა ტერიტორიებზე არსებული პარტიზანული მოძრაობა, რომელიც კომუნისტური იყო –კარგი. და ასე ხდებოდა – ყველაფერი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იყო მოქცეული. კომუნისტური იდეოლოგიის ძირითადი არსი იყო, რომ რაც კომუნისტურ, მარქსისტულ იდეოლოგიას შეესაბამებოდა, მისაღები იყო, დანარჩენი ყველაფერი კი – საშინელება. აი, საქართველოს ისტორიის გაყალბების თვალსაზრისით, არამარტო 17-21 წლებში, არამედ საერთოდ ძა-

ლიან აქტიურად მუშაობდა მაშინდელი იდეოლოგია.

ერთი კიდევ ძალიან არასასიამოვნო შემთხვევა იყო, რომელიც თავად გადამხდა თავს: 1985 წლის 5 იანვარს ეთერში გავიდა ჩვენი გადაცემა „ვლადიმერ მაიაკოვსკი“. ეს იყო პერიოდი, როდესაც უკვე შემცირებული იყო საბჭოთა იდეოლოგიის ზეწოლა. აქედან გამომდინარე, შევეცადეთ, გვეთქვა სიმართლე, თუ სინამდვილეში როგორ დაიღუპა ისეთი ცნობილი პოეტი, როგორიც იყო მაიაკოვსკი და ზოგადად რა ხდებოდა იმ დროს საბჭოთა კავშირში. ეს გადაცემა გავიდა ეთერში ისე, რომ ცენზურას ჩაბარებული არ ჰქონდა და გაუშვა მაშინდელმა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ელდარ იბერმა. ისე მოხდა, რომ გადაცემა კვირა საღამოს გავიდა ეთერში და ნახა პარტიის ხელმძღვანელობამ. მერე ამას მოჰყვა რეპრესიები, რომელსაც შეეწირენ გადაცემის რედაქტორი, ტექსტის ავტორი და თვითონ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გარდა ამისა, ჩემი ბიძა იყო ზვიად გამსახურდია, დედაჩემი იყო გამსახურდია. აქედან გამომდინარე, ახლა ალბათ მიხვდებით, რა ხდებოდა ჩვენს ოჯახში 70-იანი წლებიდან მოყოლებული 80-იანი წლების ჩათვლით. დედაჩემი ერთ-ერთი იყო, ვინც ავრცელებდა აი, იმ ზვიად გამსახურდიას ცნობილ ჟურნალს – „საქართველოს მოამბეს“. „მოამბეში“ მცდელობა იყო მაქსიმალურად სწორად ყოფილიყო აღწერილი საბჭოთა რეალობა. მიუხედავად იმისა, რომ მე ზვიადს შემდგომში თავად დავუპირისპირდი მიზეზებისდა გამო, დედაჩემი ყოველთვის მისი ერთგული იყო და იმ პერიოდში მისი ჟურნალი იყო თითქმის ერთადერთი სიმართლის წყარო ქართველი ხალხისათვის. ყველანაირი ოპოზიციური იდეა 80-იანი წლებისა ჩვენს ოჯახში იყრიდა თავს და, აქედან გამომდინარე, მე ეს ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი“.

1918 წელი ის წელი იყო, როდესაც საქართველომ მეფის რუსეთს თავი დააღწია, მოიპოვა დამოუკიდებლობა, დაიბრუნა იდენტობა, ისტორია. ეს იყო დრო, პერიოდი, რომელიც საქართველოს დიდი ხნის მანძილზე არ უნახავს. აყვავდა სპორტი, ხელოვნება, ლიტე-

რატურა; გაიხსნა უნივერსიტეტები, სასწავლო დაწესებულებები; ხალხმა სიმართლე დაინახა, პრესამ ფრთები გაშალა, აღარ იყო იმხელა წნეხის ქვეშ, რასაც ცენზურა ერქვა. ყველაზე მთავარი კი იყო, რომ ქართველმა ხალხმა დიდხანს მიძინებული და სასტიკად გაყალბებული საქართველოს ისტორია გააღვიძა. აქამდე თუ ჩვენი ქვეყანა რუსეთის დიდი ნაწილი იყო, ამიერიდან ჩვენ საკუთარ თავს წარმოვადგენდით, ეკონიმიკურად ვიზრდებოდით და თითოეული მოქალაქის გულში ყოველდღიურად უფრო და უფრო ღვივდებოდა სამშობლოს სიყვარული.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში ბოლშევიკების მე-11 არმია შევიდა. ქართველი იუნკერების თავგანწირული ბრძოლის და მიუხედავად საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დამარცხდა. თბილისსა და ქუთაისში დროშები დაეშვა და საქართველომ საბჭოთა კავშირში შესვლა „იზეიმა“. ამ სასტიკ ბრძოლას უამრავი ქართველი შეეწირა, მათ შორის: ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, ილია ჯანდიერი, იოსებ ჯანდიერი, არჩილ ჯანდიერი, გიორგი ანდრონიკაშვილი, გიორგი ზედგინიძე, გიორგი იაშვილი, ვახტანგ ისკანდერაშვილი, ივანე კერესელიძე, რევაზ ფავლენიშვილი, ივანე ჯამასპიშვილი, გრიგოლ კიკიანი, პალიკო ბეშქენაძე, ნიკოლოზ ზანდუკელი, ნიკოლოზ სტურუა, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ კალანდარიშვილი, გენო ქარუმაძე, ვანო მუჯირიშვილი, სანდრო მუჯირიშვილი, ჯიშკარიანი, ირაკლი თოიძე, ბესარიონ კემულარია, არჯევან ანანიაშვილი, გაბრიელ გეხტმანი, მიხეილ იოსელიანი, გერონტი არჩვაძე, მარო მაყაშვილი და სხვები.

ალბათ იფიქრებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ასეთი ტრაგედია, რომელსაც არაერთმა პოეტმა მიუძღვნა სულის შემძვრელი ლექსი, რომელსაც არაერთი გმირი ქართველი შეეწირა, რომელმაც მთლიანად წაგვართვა დამოუკიდებლობა და გალიაში მოგვამწყვდია, ქართველ მოსწავლეთათვის ისე იქნებოდა მიწოდებული, როგორც

წესი და რიგია, მაგრამ არა. საბჭოთა რუსეთს არ აწყობდა მომავალ თაობას ცოდნოდა სიმართლე 25 თებერვლის ღამის შესახებ. მათ არ უნდა ცოდნოდათ იმ საშინელებებისა და სისხლისღვრის შესახებ, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს. ბავშვთა გულებში არაფრის დიდებით უნდა გაღვივებულიყო პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული. სწორედ ამიტომ მათ ის გააკეთეს, რაც ყველაზე მეტად ეხერხებოდათ: ყველაფერი გააყალბეს.

„ახლა, უკან რომ ვიხედები, არ მესმის როგორ ვიყავი ასეთი მიამიტი. ვერ ვხვდები, რატომ მჯეროდა იმ ბევრი აბსურდისა, რომელსაც სკოლაში მინერგავდნენ. ბევრი რამე გაუკეთებიათ, ბევრი რამე მოუტყუებიათ და მეც ბევრი რამე დამიჯერებია, მაგრამ როდესაც ყველაფერი 1921 წლის 25 თებერვალს ეხებოდა, ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მასწავლიდნენ. მახსოვს, როგორი ზიზღის ტალღამ გადამიარა, როდესაც კლასის შუაში მდგომი მასწავლებელი ამაყად და თავდაჯერებით აცხადებდა საქართველოს თავად უნდოდა საბჭოთა კავშირში შესვლა და სწორედ ამიტომ მოხდა 25 თებერვალიო. ვერ დამეჯერებინა, რასაც ვკითხულობდი, არ მინდოდა დამეჯერებინა, რასაც მეუბნებოდნენ. ბებია თავისუფალ საქართველოზე ბევრ რამეს მიყვებოდა, ვიცოდი როგორი ძლიერები ვიყავით, როგორ მივიწევდით წინ და ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა სდომებოდა ჩვენს ქვეყანას ბოლშევიკ რუსებთან ყოფნა. ვერ ვხვდებოდი, რა გვქონდა სათხოვარი, სახვეწარი. ჩემი ქვეყანა მუხლებზე მდგომი და მოწყალების მოლოდინში არასდროს წარმომედგინა; ამიტომ სკოლაშივე დავისახე მიზანი, სახლში მისულს გამერკვია რა მოხდა 1921 წლის 25 თებერვალს, მართლა რა მოხდა, სინამდვილეში. სახლში დაბრუნებული ჩემს ოთახში ჩავიკეტე. სულელ მეს უნდოდა რაიმე რეალური ეპოვა თავის პატარა ბიბლიოთეკაში. იქ ყველაფერი ახალი იყო, საბჭოთა დროინდელი, თან საბავშვო და, რა თქმა უნდა, ვერაფერი ვიპოვე. გადავწყვიტე, მამაჩემს ექნებოდა სიმართლის გასაღები და ჩემი ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვედი. ყველა ოთახში

შევიჭყიტე, დავრწმუნდი, რომ სახლში არავინ იყო, მხოლოდ ბებო იჯდა სამზარეულოში და სრულ სიჩუმეში ყავას სვამდა. დედიკოს და მამიკოს ოთახში შევიპარე, აქ იყო მამას მთელი ბიბლიოთეკა და მთლიან სახლში ყველაზე მეტი წიგნი აქ ინახებოდა. ზუსტად არც კი მახსოვს რამდენი დრო გავატარე იატაკზე მჯდომარემ, მინიმუმ ერთი საათი მაინც. ყველა წიგნი გადმოღებული მქონდა, მაგრამ ისტორიის წიგნისთვის მაინც ვერ მიმეგნო. კიდევ ნახევარი საათი რომ გავიდა, ერთი მწვანე ყდიანი წიგნი გადმოვიღე და გადავშალე. „საქართველოს ისტორია 1783-1970 წლები“. გულმა სიხარულისგან ხტუნვა დამიწყო. სწრაფად გადავშალე ფურცლები და სარჩევში 1921 წელი ვიპოვე. მთელი სხეული გამეყინა, საშინელების ჟრუანტელმა დამიარა. არაფერი განსხვავებული იქ არ ეწერა, თითქმის იგივე, რაც ჩემი ისტორიის წიგნში, უბრალოდ, ცოტა უფრო რთული სიტყვებით. ნეტა მაშინ მცოდნოდა, რომ ყველა წიგნი ცენზურაგამოვლილი და გაყალბებული იყო, როცა იმედგაცრუებულმა წიგნის უკან დადება დავაპირე. უაზროდ გადავფურცლე რამდენიმე გვერდი, სულ ბოლო იმედი მქონდა და ჩემი ჭია გავახარე. ორ გვერდს შუა რვეულიდან ამოხეული ფურცელი დავინახე. გადავშალე და ბებოს ხელწერა მაშინვე ვიცანი. გაკრული ხელით იყო დაწერილი, კოლაუ ნადირაძის ლექსი:

თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!

მინიმუმ ხუთჯერ მაინც გადავიკითხე. სიმართლე ვთქვა მაშინ არც ვიცოდი ვინ იყო კოლაუ ნადირაძე, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იმ მომენტში პატარა ბავშვს, რომელსაც მხოლოდ სიმართლე უნდოდა, ეს ლექსი მხსნელად მოევლინა.

მაშინვე ბებოსთან გავქანდი. არაფერი მითქვამს, მხოლოდ დაკეცილი ფურცელი გავუცურე საკითხავ მაგიდაზე. ნელა აიღო, გადაშალა და სწრაფად გადაიკითხა. მერე მე ამომხედა, არაფერი უთქვამს მხოლოდ ცრემლმორეული თვალებით შემხედა, ფურცელს ოდნავ შეახო ტუჩები და უკან გამომიცურა. თქმა არც მჭირდებოდა, ზუსტად ვიცოდი უნდა წამეღო და ისევ წიგნში დამემალა, ეს ხომ მტკიცებულება იყო, მტკიცებულება იმისა რომ ტყუილში ვცხოვრობდით, მაგრამ ამაზე მაშინ საერთოდ არ მიფიქრია, ჩემი

პასუხი მივიღე. ვიცოდი, რომ გმირები მყავდა, გმირები გვყავდა, მთელს საქართველოს და, რომ ჩემი სამშობლო ბრძოლის გარეშე არ დანებებია მონსტრის მმართველობას“.

როგორ შეიძლება ოდესმე დაგვავიწყდეს საბედისწერო 9 აპრილი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიამ რუსთაველზე გამართული მშვიდობიანი მიტინგი სასტიკად დაარბია, რასაც ჯამში 21 ადამიანი შეეწირა და უამრავი დაშავდა. ეს გმირები იყვნენ: ადამია აზა, 22 წლის; ბაშალეიშვილი ეკა, 16 წლის; ბეჟანიშვილი ეკა, 16 წლის; გიორგაძე ნატო, 23 წლის; დოლიძე თამუნა, 28 წლის; ენუქიძე თინა, 70 წლის; თოიძე ნინო, 25 წლის; კიკვიძე ზაირა, 61 წლის; ლოლაძე მანანა, 33 წლის; მამულიშვილი თამარი, 50 წლის; მეტრეველი ვენერა; ნოზაძე მამუკა, 22 წლის; სამარგულიანი ნანა, 41 წლის; ქვასროლიაშვილი შალვა; ჭყონია-სამარგულიანი მარინა, 31 წლის; ჭიპაშვილი ელისო, 25 წლის; ჭოველიძე თამარი, 16 წლის; ჯანგირაშვილი ნოდარი, 40 წლის; ჯინჭარაძე მზია, 43 წლის; მელქაძე მანანა 23 წლის; ქარსელაძე გია, 25 წლის. აქედან ყველაზე პატარა 16 წლის, კომაროვის სკოლის მეათე კლასელი მოსწავლე, ბეჟანიშვილი ეკა გახლდათ.

ამ დიდი ტრაგედიით, რომელიც ლენინის მოედანზე დატრიალდა, საბჭოთა წყობილებამ თავისი ნამდვილი კლანჭები გამოავლინა. მთელი იმ წლების მცდელობა ბოლშევიკებს საბჭოთა ქვეყნებისთვის შეექმნათ ილუზია, რომ მათი წყობილება საუკეთესო იყო, ერთ დღეში მთლიანად ჩამოიქცა. ახლა უკვე ყველა ხედავდა რამდენად საშინელი, აუტანელი და არა სანდნო იყო ეს წყობილება. ქართველებმა ვერ შეძლეს ამხელა ტრაგედიის პატიება და დავიწყება, მათ ყველაფრისდა მიუხედავად გააგრძელეს ბრძოლა, რამაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყანა 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიიყვანა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომუნისტურმა პარტიამ მოვლენების გაყალბება და თავის გამართლება არ სცადა.

„ეს ისეთი მოგონებაა, რომ გინდა აღარასოდეს გაგახსენდეს, მაგრამ იმდენად დიდი რამაა, იმდენად ტრაგიკული და თან საამაყო, იმდენად დიდი გავლენა იქონია ყველაზე და ყველაფერზე, შეუძლებელია მახსოვრობიდან ამოშალო. დღემდე არ შემიძლია ემოციების გარეშე ვუყურო კლიპებს იმ დღიდან ან ფოტოებს შევხედო და არ ვიგრძნო, როგორ მწყდება გულის რომელიღაცა სიმი.

ყველაფერი მეორე დღეს, 10 აპრილს შევიტყვე. საქართველოში არ ვიყავი და წარმოდგენა არ მქონდა რა ხდებოდა თბილისში. მახსოვს როცა მითხრეს რა მოხდა, ტირილი ამიტყდა. არცერთს ვიცნობდი იქიდან, ვინც დაიღუპა, ვინც დაშავდა, მაგრამ, ამავე დროს, თითქოს თითოეულის გული ჩემი გული იყო, მათი სული ჩემი მეორე ნახევარი. მათ ტკივილს ვგრძნობდი და თავში მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებდა – მიყვარდა თითოეული მათგანი, მთელი გულით, მთელი სულით. მიუხედავად იმისა, რომ არცერთს შევხვედრივარ, ვიცოდი, რომ შემეძლო მათთვის მთები გადამედგა, მაგრამ საქართველოდან ასობით კილომეტრი მაშორებდა, გმირებს კი მილიონობით კილომეტრი, ცხრა ცა. ისინი ახლა იმაზე შორს იყვნენ, ვიდრე ოდესმე და ერთადერთი რაც მათთვის შემეძლო, ტირილი იყო. მაშინ აღარავის სჭირდებოდა ჩემი ქვითინი, მაგრამ კიდევ დიდი ხანი ვგრძნობდი, როგორ მისველებდა ლოყებს ცხარე ცრემლები.

ღმერთო როგორ მრცხვენოდა... ვერ წარმოიდგენ როგორ მრცხვენოდა. სულ თეთრებში ვიყავი გამოწყობილი მაშინ, როდესაც ჩემს ქვეყანაში ტრაგედია იყო დატრიალებული, როცა ჩემი საყვარელი მოედანი ჩემი ქართველების სისხლით იყო მოსვრილი.

რუმინეთის აეროპორტში გიჟივით მიყურებდა ხალხი. აბა, მათ რა ესმოდათ, რას გაიგებდნენ? შეუძლებელი იყო უცხოელისთვის ამეხსნა ეს გასაჭირი, ამას მხოლოდ ქართველი გაიგებდა. ვიღაცას ეგონა ახლობელი გარდამეცვალა, ასეც იყო, მაგრამ ამას უბრალოდ, ვერ ვხსნიდი, მხოლოდ იატაკზე ვიჯექი და ვტიროდი.

საქართველოში ჩამოსულს სრულიად სახეცვლილი ქვეყანა დამხვდა. თითქოს ქვეყანაც გლოვობსო შვილების დაკარგვას. ჩემი ქმარი ტელევიზიაში მუშაობდა და რაც მოხდა ზედმიწევნით იცოდა. ყველაფერი მიამბო, რა როგორ მოხდა... ხალხის შეკრებაზე მიამბო, უწმინდესის სიტყვაზე, ხალხის ფიცზე, დიდ ტანკებზე და გაზზე, რომლებიც მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ გაუშვეს...

მაინტერესებდა ამ ყველაფერზე გაზეთებში რაც წერდნენ. მაშინ ყველაფერი ცენზურადადებული იყო. გაზეთების 99 პროცენტი კომუნისტურ პარტიას ეკუთვნოდა და ის ერთი პროცენტი კიდე არალეგალურად იბეჭდებოდა სარდაფებში. ვფიქრობდი, ეს იქნება დასასრული, ხალხის სიკვდილს ხომ მაინც ვერ დამალავენ-მეთქი.

დილა რომ გათენდა, პირველი რაც ვქენი ეგ იყო, რომ მაშინვე გაზეთის საყიდლად გავეშურე. კონკრეტული ადგილი არ გვქონდა, საიდანაც ჟურნალებს ვყიდულობდით ხოლმე. ხშირ შემთხვევაში ჩემ ქმარს სწორედ ის აკრძალული გაზეთები მოჰქონდა ხოლმე, რომლებშიც საქართველოს დამოუკიდებლობას ღაღადებდნენ; ამიტომ პირველივე ათაღთან გავჩერდი და პირველივე გაზეთი ავიღე ხელში. თვალი რომ გადავავლე, თითქოს ისეთი არაფერი იყო, ტყუილი და ცილისწამება. დიდი დრო არ გასულა, სანამ ჟურნალ-გაზეთები, მედია, რადიო, ტელევიზია, საერთოდ ყველაფერი იმით არ აჭრელდა, რომ ვითომ ბოლშევიკებს 9 აპრილის ღამეს გაზი საერთოდ არ გამოუყენებიათ.

ყურებს არ ვუჯერებდი. აბა, ყველა ვინც კი გაზით მოიწამლა იტყუებოდა? ამდენი ადამიანი თავისით გახდა ცუდად? ეს ამბავი არავინ დაიჯერა და მალევე გასკდა. უკვე ყველა ხვდებოდა, რომ ეს ბოლო გაფართხალება იყო სოციალისტური პარტიისა, ძალიან სუსტი, არაფრის მოქმედი კიდევ ერთი მცდელობა გაეყალბებინათ ფაქტები, ისტორია, მინიმუმამდე დაეყვანათ ზარალი და, რაც მთავარია, გმირთა თავდადება, რაც, რა თქმა უნდა არ გამოვიდა.“

საბოლოოდ კი ისმის კითხვა: იყო თუ არა ისტორიის გაყალბება მიზეზი იმისა თუ რატომ იარსება საბჭოთა კავშირმა ამდენი ხნის

განმავლობაში? რა თქმა უნდა, იყო. ისტორია ადამიანების გონებასა და აზროვნებას აყალიბებს, უნერგავს მათ სამშობლოს სიყვარულს, ასწავლის შეცდომებზე, შესაძლებლობას აძლევს დაინახონ კარგი და ცუდი. მისი გაყალბებით კი არ ზიანდება და მახინჯდება არა მხოლოდ წარსული, არამედ აწმყოც და მომავალიც. დღეს 21-ე საუკუნეში, როდესაც ნებისმიერ ადამიანს მიუწვდება ხელი ნამდვილ ისტორიაზე, ისტორიაზე, რომელიც იდეოლოგიაზე არაა დამყარებული, შეგვიძლია ვისწავლოთ, დავინახოთ და შევიცვალოთ, რათა აღარასდროს განმეორდეს წარსული, არამედ აშენდეს მყარი და იმედით აღსავე მომავალი.

ბებოს ყველა ისტორიას გაფაციცებით ვუსმენდი. არცერთი აღელვებული ნოტი არ გამომპარვია. მის ხმაში დიდი ტკივილი, მაგრამ ასევე უზომო სიამაყე იგრძნობოდა. რაც უფრო და უფრო ვეცნობოდი საბჭოთა რუსეთის სიყალბეს, მით უფრო და უფრო ვაფასებდი წარსულს. შეუძლებელია დავივიწყოთ სსრკ-ს ბეჯითი მცდელობა – წაეშალა ისტორია და შეუძლებელია არ ვიამაყოთ, რომ მისი შენარჩუნება ყველაფრის ფასად შევძელით. მაშინ, როცა ბოლშევიკები წარსულს „ალამაზებდნენ“, ჩვენი ბებია-ბაბუები ნამდვილი ისტორიის ნაშთებს გულის ჯიბით დაატარებდნენ, სახალხოდ ვერ აცხადებდნენ, მაგრამ სულთან მჭიდროდ ჰქონდათ მიკრული და შვილებს უნახავდნენ.

მე გავიგე სისასტიკის შესახებ, ვნახე სიკვდილი ლენინის მოედანზე, ვიმოგზაურე დროში და შევესწარი ისტორიის წიგნების წვას საბჭოთა ცეცხლში და ამის შემდეგ ერთი რამის თქმა შემიძლია მხოლოდ:

„უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხმოუკიდებელი. აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ, რომ ერთის მეცნიერისა არ იყოს, - «აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა.»

ილია ჭავჭავაძე

მესამე ადგილი
THIRD PLACE

საბჭოთა პროპაგანდა – გონებაზე ზემოქმედების საბჭოთა „ინსტრუმენტი“

SOVIET PROPAGANDA - A SOVIET „INSTRUMENT“ TO INFLUENCE THE MIND

ავტორები:
მარიამ ტალახაძე,
ანი კიკაძე,
ლიზი მახარაძე

პედაგოგი:
ნათელა გოგოლაძე

ლესია უკრაინკას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N3 საჯარო სკოლა

Authors:
MARIAM TALAKHADZE,
ANI KIKADZE,
LIZI MAKHARADZE

Teacher:
NATELA GOGOLADZE

Lesia Ukrainka N3 Public School of Surami,
Khashuri Municipality

საბჭოთა პროპაგანდა – გონებაზე ზემოქმედების საბჭოთა „ინსტრუმენტი“

კონკურსანტები მოგვითხრობენ ზოგადად პროპაგანდისა და, კერძოდ, საბჭოთა პროპაგანდის მნიშვნელობისა და ზემოქმედების ძალის შესახებ. როგორ გამოიყენება ეს ძალა და რისი მიღწევა შეიძლება მისი მეშვეობით; როგორ ცდილობდა საბჭითა რუსეთი, შეექმნა „ახალი, საბჭოთა ადამიანი“, დამსმენი, რომელიც ყველასა და ყველაფერს გაწირავდა, მხოლოდ მის (რუსეთის) ინტერესებს გაიზიარებდა და მას ემსახურებოდა. ამიტომაც შეიქმნა დასმენის აპარტი, რომელმაც უამრავი ხალხი იმსხვერპლა. ნაშრომში პროპაგანდის მრავალი მეთოდი თუ განშტოებაა აღწერილი, განხილულია მათ მიერ გამოწვეული სავალალო შედეგები. ყოელივე ამის წინაარმდეგ კი დიდი ძალისხმევა და ბრძოლა იყო საჭირო, რომ ხალხი, ერი საბოლოოდ არ დეგრადირებულიყო. საბედნიეროდ, ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია; თუმცა სამწუხაროა, რომ უარყოფით შედეგები ჯერაც არ აღმოფხვრილა, „საბჭოთა პროპაგანდის დღევანდელი პირდაპირი მემკვიდრე კვლავ რუსეთია, სადაც დეზინფორმაციის ფორმირება და გავრცელება ისევ პოლიტიკის დონეზეა აყვანილი. პროპაგანდის საბჭოური მეთოდოლოგია იქ თითქმის ისევ მოქმედებს, რომლის ძალითაც რუსეთი ცდილობს დასავლეთის დემონიზებას, ანტიდასავლური განწყობის შექმნასა და საკუთარი რეჟიმის გამყარებას“.

SOVIET PROPAGANDA - A SOVIET „INSTRUMENT“ TO INFLUENCE THE MIND

The contestants tell us about the importance and influence of propaganda in general and Soviet propaganda in particular. How this power is used and what can be achieved through it; how Russia tried to create “a new Soviet man”, an informer who would sacrifice everyone and everything, would only share its (Russia’s) interests and serve it. That is why the apparatus of informers was created, which killed myriad of people. In the work a number of methods and branches of Soviet propaganda are described and discussed together with the disastrous results caused by them. A lot of effort and struggle was needed against it, so that the people would not be degraded in the end. Fortunately, the battle did not go without a trace, but it is a pity that the negative consequences have not been eliminated yet, as “today’s Russia is still the direct successor of the Soviet propaganda, where the formation and dissemination of disinformation is again taken to the level of politics. The Soviet methodology of propaganda is almost still active there, by the power of which Russia is trying to demonize the West, create an anti-Western mood and strengthen its own regime”.

პროპაგანდა, რომელიც ადამიანის გონებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა, როგორც ასეთი, სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს. ნებისმიერი მმართველი, რომელიც ქვეყნის სათავეში მოექცეოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა რა გზით აღწევდა ამას – დინასტიურად, უზურპაციით თუ რევოლუციის გზით, – თავისი ძალაუფლების განმტკიცების უპირველეს საშუალებად პროპაგანდას იყენებდა. ზემოთ ანტიკური ხანა ვახსენეთ და ვფიქრობთ, თვით მაშინდელი ოლიმპიური თამაშებიც კი შეიცავდა პროპაგანდის ნიშნებს – გამარჯვებული სპორტსმენები კონკრეტული სახელმწიფოსა თუ ქვეყნის ძლიერების სიმბოლოდ ცხადდებოდნენ.

პროპაგანდას მრავალი მიმართულება თუ განშტოება აქვს. ამ საერთო სურათში ერთიანი კონტექსტიდან სრულიად განსხვავებული სახე, და შეიძლება ითქვას, განსხვავებული კლასიფიკაცია აქვს საბჭოთა პროპაგანდას, რომელიც წმინდა კლასიკური გაგებით, ფაქტობრივად, არც იყო პროპაგანდა – ეს იყო დეზინფორმაციის უმძლავრესი ნაკადი, რომელის მთლიანად სიყალბეზე, ტყუილზე, სიცრუეზე და, რაც მთავარია, ცრუ მეცნიერებაზე იყო დაფუძნებული – მეცნიერული კომუნიზმი სხვა არაფერი იყო თუ არა მარქსიზმის დამახინჯებული ფორმა.

1917 წელს ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ბოლშევიკურმა პარტიამ, ლენინის წინამძღოლობით, ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და მომდევნო წელს ,,კომუნისტური პარტიის" სახელი მიიღო. ბოლშევიკები რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის მემკვიდრედ იქცნენ და დედამიწის ერთ მეექვსედ ტერიტორიაზე გაბატონდნენ. საბჭოთა კომუნიზმი კომუნისტური მმართველობის

გაბატონებული მოდელი გახდა, მარქსიზმ-ლენინიზმი (ოდნავ მოგვიანებით სტალინიზმიც) კი – კომუნისტური ქვეყნის მმართველი იდეოლოგია. სწორედ ამ იდეოლოგიის ქვეყანაზე გავრცელების უმძლავრეს იარაღად იქცა საბჭოთა პროპაგანდა, რომელიც მთლიანად ილუზიასა და მისტიფიკაციაზე იყო დაფუძნებული. ამ პროპაგანდის უპირველესი და უზენაესი ამოცანა ახალი ადამიანის შექმნა იყო, რაც, გარკვეულწილად, მოახერხეს კიდეც და შექმნეს სოციალისტური საზოგადოების, საბჭოთა ადამიანის სრულიად განსხვავებული მორალური სახე, რასაც იგივე პროპაგანდა მსოფლიო ისტორიულ მოვლენად სახავდა, კომუნისტური მორალი საკაცობრიო მნიშვნელობის მორალად გამოჰყავდა, საბჭოთა ადამიანი კი – კაცობრიობის განვითარების მთელ ისტორიულ პროცესში მოპოვებულ ზნეობრივ-ჰუმანურ სიმდიდრედ.

უპირველესი, რომ ასეთ პროპაგანდას ხელი არ შეშლოდა და რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვედროდა, საზღვრების საიმედო ჩაკეტვა იყო, რომ დასავლეთიდან წამოსული ნებისმიერი ინფორმაცია ,,წითელ ღობეს" შეჯახებოდა და იქვე დაემთავრებინა სიცოცხლე. კომუნისტური რეჟიმი ასეც მოიქცა და საბჭოთა ადამიანს უცხოური საინფორმაციო ველის ყველა წყარო ჩაუკეტა. და თუ ეს ინფორმაცია მაინც შემოდიოდა, ეს იყო ,,გაწურული" და დამახინჯებული, რომელიც რეალობას აბსოლუტურად ცდებოდა. პარალელურად, საჭირო იყო მტრის ხატის შექმნა და პროპაგანდამ ასეთიც შექმნა – დასავლეთი და უპირველესად ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მოსახლეობა პირდაპირ ,,მონობაში იმყოფებოდა საზიზღარი კაპიტალისტების ხელში და შიმშილით სულს ღაფავდა".

ყველაზე ,,საინტერესოდ" მაინც რეჟიმის დასაწყისში პარტიული ბოსებისათვის სპეციალურად შექმნილი სახელის მოძიება გვესახება. ესეც პროპაგანდის ნაწილი იყო. რეჟიმს სჭირდებოდა, ლენინი და სტალინი ზეკაცებად წარმოეჩინა და მოძებნეს კიდეც სრულიად შესატყვისი სახელი – ბელადი. ეს ტომობრივი მმართველობიდან გადმოსული ,,წოდება" მართლაც სრულად შეესაბამებოდა რეჟიმის

მმართველობის სტილს. ბელადი ხომ თვითონაა კანონი, ბელადი ხომ თვითონაა კონსტიტუცია, მასზე მაღლა არავინ და არაფერი დგას, მისი თითოეული სიტყვა უკვე საპროგრამოა, მისი თითოეული მოქმედება კი მაგალითი მთელი ერისათვის. და ღმერთი? აი, ეს უზენაესი და ყოვლისშემძლე უფალი კი მართლაც ,,კონკურენტი" იყო ბელადებისათვის. ამიტომაც ჩაერთო მთელი პროპაგანდისტული მანქანა რელიგიის წინააღმდეგ, რომელიც ,,ხალხის ოპიუმად" შერაცხეს. ათეიზმმა მთლიანად ჩაანაცვლა რელიგია, თანაც იმ დოზით, ლამის თვითონ იქცა რელიგიად. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები სამღვდელოებისა, ანგრევდნენ ტაძრებს, მონასტრებს და არავინ დაგიდევდა, რომ ამ ძეგლებს უდიდესი ისტორიულ - კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც პროპაგანდისტული მანქანა წინა პლანზე იყო, რომ ეს ბარბაროსობა გაემართლებინა. სისტემა პროპაგანდით ყოველივე ამას ახერხებდა ,,იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების" მეშვეობით. ამასთან ერთად, რეჟიმმა ხელოვნების ყველა დარგი – მწერლობა, კინო, მუსიკა, თეატრი პროპაგანდის იარაღად აქცია. მწერლების უმეტესობა, რომელსაც სტალინმა ,,სულის ინჟინრები" უწოდა, ჩადგა რეჟიმის სამსახურში, თითზე ჩამოსათვლელები კი, ვინც უარი თქვეს ამაზე, მრავალწლიანი გადასახლების, ან დახვრეტის მსხვერპლნი გახდნენ. სოციალისტური რეჟიმი ერთერთ აღიარებულ მხატვრულ მეთოდად გამოცხადდა. მისგან განსხვავებული ყველა სხვა სტილი კი ფორმალიზმად შერაცხეს. სოციალისტური რეალიზმი განისაზღვრა, როგორც სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდი. როგორც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშია მოყვანილი: ,,სოციალისტური რეალიზმის მიზანია სინამდვილის მართალი, ისტორიულად კონკრეტული გამოსახვა მის ევოლუციურ განვითარებაში. ასეთი რეალიზმი მხატვრულად ასახავს სინამდვილეს ისე, როგორც ის არის და როგორც უნდა იყოს, გვაძლევს რეალურსა და იდეალურს, ესთეტიკურისა და ეთიკურობის სინთეზს". სოციალიზმის ეს განსაზღვრება უკვე ნიშნავდა, რომ

ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში მაყურებელს (მკითხველს) ყოველ-გვარი ინდივიდუალური აღქმის გარეშე, იდეოლოგიური გადმოსა-ხედიდან უნდა მიეღო. ფაქტობრივად, ხელისუფლება დეკლარირე-ბულად აცხადებდა, რომ ხელოვნებას პოლიტიკურად იმპერატიული ტონი უნდა ჰქონოდა. ხელოვნებამ საბჭოთა ხელისუფლების აგიტა-ციის და პროპაგანდის ფუნქცია შეიძინა. ცალკე გვინდა გამოვყოთ პოსტერები (პლაკატები), რომლის შექმნის ხელოვნება გრაფიკის დარგს განეკუთვნება. საბჭოთა პლაკატებს ორი გამოკვეთილი მიმართულება ჰქონდა. პოლიტიკურ-აგიტაციური და მეთოდურ-ი-ნსტრუქციული. მძლავრი აგიტაციის საშუალებით, რეჟიმმა პლა-კატები კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მოქალაქეებს შორის ერთგვარი კომუნიკაციის ფორმად აქცია და მიაჩნდა კიდეც რომ პლაკატი ხელს უწყობდა საბჭოთა ადამიანების აღზრდასა და და-რაზმვას.

საბჭოთა პროპაგანდა ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის პირველი დღი-დანვე ჩაერთო საქმეში. 1921 წლის განმავლობაში, საოკუპაციო რეჟიმი, პროპაგანდისტული კამპანიებით დაჟინებით ამტკიცებდა, რომ საქართველოს ოკუპაცია არ მომხდარა და ეს მხოლოდ ქა-რთველი მუშების და გლეხების აჯანყება იყო, რომელსაც საბჭოთა წითელმა არმიამ მხოლოდ მცირე დახმარება გაუწია მათივე თხო-ვნის საფუძველზე. საქართველო კი სრულუფლებიანი, დამოუკი-დებელი სახელმწიფო იყო, რომელსაც ,,მენშევიკურის ნაცვლად“ საბჭოთა ხელსუფლება ჰყავდა. ამ პროპაგანდით, ფაქტობრივად, მოხერხდა კიდეც შეიარაღებული დაპყრობის ფაქტის ლეგიტიმა-ცია.

30-იან და 40-იან წლებში საბჭოთა პროპაგანდა ,,იმ სიმაღლეზე ავიდა“, რომ ათიათასობით ადამიანის დახვრეტა ქვეყნის გამარჯვე-ბასთან გაეიგივებინა. ,,ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ ქვეყ-ნის უმთავრეს ლოზუნგად იქცა. სხვათა შორის, პროპაგანდისტული მანქანა ძალიან იოლად ახერხებდა ,,ფერის შეცვლას“ და თავისივე მტკიცებულებების უარყოფას. მაგალითად, ისინი, ვინც ოციან

წლებში საბჭოთა საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები იყვნენ, 40-იანი წლებისათვის უკვე რეპრესირებულ ნაციონალ-უკლონისტებად იქცნენ.

ასევე ცალკე თემაა პროპაგანდისტული მანქანებით შექმნილი ,,დასმენის ინსტიტუტი“ საბჭოთა აგიტაციამ და, რაც მთავარია, წახალისებამ ლამის ყოველი მესამე კაცი ქვეყანაში დამსმენად აქცია. დასმენობა იმ დონეზე იყო წახალისებული, რომ საბჭოთა პიონერი, ვინმე პავლიკ მოროზოვი, რომელმაც საკუთარი მშობელი დაასმინა (ეს უბრალო შურისძიება იყო, რომელიც საბჭოთა პროპაგანდამ თავის სასარგებლოდ აქცია), მთელი ,,საბჭოთა ბავშვების“ სახელად და მაგალითად აქციეს.

ზემოთ ახალი ადამიანის შექმნა ვახსენეთ. დიახ, საბჭოთა პროპაგანდამ თავის საშინელი დეზინფორმაციით (სხვათა შორის „დეზინფორმაცია“ წმინდა საბჭოური ტერმინია, რომელიც მაშინდელმა სახელმწიფო უშიშროების (KKB) კომიტეტის ლექსიკონიდანაა და მანვე დაამკვიდრა), სიყალბით მართლაც შექმნა ასეთი ადამიანების არმია. საბჭოთა კავშირის დაშლიდან აგერ 34 წელი გავიდა და ჯერ კიდევ არიან 40-იანი თუ 50-იანი წლების თაობის წარმომადგენლები, რომლებიც დღემდე მისტირიან იმ დროს და ნატრობენ, როდის დაბრუნდება „დიდი ბელადი”, რომელიც მათ კომუნიზმში წარუძღვება.

და ბოლოს: საბჭოთა პროპაგანდის დღევანდელი პირდაპირი მემკვიდრე კვლავ რუსეთია, სადაც დეზინფორმაციის ფორმირება და გავრცელება ისევ პოლიტიკის დონეზეა აყვანილი. პროპაგანდის საბჭოური მეთოდოლოგია იქ თითქმის ისევ მოქმედებს, რომლის ძალითაც რუსეთი ცდილობს დასავლეთის დემონიზებას, ანტიდასავლური განწყობის შექმნასა და საკუთარი რეჟიმის გამყარებას.

ჟიურის წამახალისებელი პრიზი
JURY INCENTIVE PRIZE

ისტორიის გაყალბება აფხაზეთის კონფლიქტის ჭრილში

FALSIFICATION OF HISTORY IN THE CONTEXT OF THE ABKHAZIA CONFLICT

ავტორი:
მიქაელ კურტანიძე
პედაგოგი:
ჯაბა ლაბაძე

სურამის მეორე საჯარო სკოლა

Author:
MIKAEL KURTANIDZE
Teacher:
JABA LABADZE

Public School N2, Surami

ისტორიის გაყალბება აფხაზეთის კონფლიქტის ჭრილში

არსებობს „ადამიანების გარკვეული კატეგორია, რომლებიც თავიანთი საქციელით არამარტო გარშემომყოფებს, არამედ მთელ მომავალ თაობას აყენებდნენ ზიანს“ – ისტორიის გამყალბებლები, ისინი ვინც განზრახ ამახინჯებენ სიმართლეს, რათა თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენონ. ამისთვის მრავალი მეთოდი არსებობს იქნება ეს ფაქტების გადასხვეფერება თუ მკაცრი ცენზურის დაწესება, განსაკუთრებული იდეოლოგიის დამკვიდრება თუ სხვა უამრავი პროპაგანდული ხერხის გამოყენება. მათ შორის უმთავრესია ის, რომელიც ომამდე მისულ კონფლიქტებს იწვევს და ამით განადგურებამდე მიჰყავს ერები. ნაშრომში მოხმობილი მაგალითები მსოფლიოს შორეული წარსულიდან დღემდე არა მარტო საქართველოს ისტორიიდანაა. ამ ფონზეა განხილული საქართველოს აწმყო, საქართველო-აფხაზეთის კინფლიქტის მიზეზები და შედეგები. დიდი გულისტკივილთა და მონდომებითაა გადმოცემული, როგორ დაიწყო, როგორი თანმიმდევრობითა და როდიდან მიმდინარეობს „აფხაზებით“ მანიპულირება, ვინ და რატომ არის ამით დაინტერესებული და რას ემსახურება ეს კონფლიქტი.

FALSIFICATION OF HISTORY IN THE CONTEXT OF THE ABKHAZIA CONFLICT

There is a „certain category of people who, by their actions, do harm to not only those around them, but the entire future generation“. They are falsifiers of history, those who deliberately distort the truth to use it for their own purposes. There are different ways to do it, from the distortion of facts or strict censorship to the establishment of a special ideology as well as the use of many other propaganda methods. The most important among them is war causing conflicts bringing destruction to nations. In the work, examples are given from the ancient past to the present, and not only from the history of Georgia. On this background the present of Georgia and the causes and consequences of the Georgian-Abkhazian conflict are discussed. The beginning of the manipulation with “Abkhazians”, the sequence and time it took place, who and why is interested in it, and the purpose of the conflict is conveyed clearly and with great determination.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე უამრავი არასწორი რამ მომხდარა, ადამიანების გონება მრავალ ცუდ აზრს „ხარშავდა“, რომლითაც ერთმანეთს დიდ ზიანს აყენებდნენ და უამრავ არასწორ შედეგზე გადიოდნენ. თუმცა იყო ადამიანების გარკვეული კატეგორია, რომლებიც თავიანთი საქციელით არამარტო გარშემომყოფებს, არამედ მთელ მომავალ თაობას აყენებდნენ ზიანს. ასეთი ადამიანები იყვნენ სწორედ ის ხალხი ვინც ისტორიას აყალბებდნენ და იყენებდნენ მას როგორც პროპაგანდის იარაღს. ისინი ზუსტად იაზრებდნენ, თუ რას აკეთებდნენ ამით და მომავალში მათი საქციელი მასიურ ზიანს, დიდ ზარალს იწვევდა. მრავალი ქვეყნის რეპუტაცია ილახებოდა, თუმცა მთავარი პრობლემა ის იყო, რომ მომავალ თაობებს წარსულის შესახებ ინფორმაცია არასწორად მიეწოდებოდათ, ისინიც სწორედ ამ არასწორი ინფორმაციით ხელმძღვანელობდნენ, რაც მათ კიდევ უფრო დიდ ზიანს აყენებდა. ისტორიის გასაყალბებლად ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდი პროპაგანდა იყო, პროპაგანდა არის ფაქტების, არგუმენტების და სხვა ცნობათა სისტემატური გავრცელება. პროპაგანდისას ხშირად გამოიყენება როგორც რეალური, ასევე განგებ გავრცელებული ცრუ ფაქტები. ეს არის ინფორმაციის მიწოდების ფორმა, საკომუნიკაციო საშუალების მიზანმიმართულად გამოყენება რათა ადამიანის გონებაზე, ემოციებსა და ქმედებებზე ზემოქმედება მოიპოვო. ხალხის დასარწმუნებლად პროპაგანდისტები ათასგვარ მეთოდს მიმართავენ, ისინი ტვინს ურეცხავენ საზოგადოებას, საკუთარ აზრს ახვევენ თავს, მანიპულირებენ მათით და საკუთარ მარიონეტებად აქცევენ. ამჟამად პროპაგანდის გამოყენება და მისი საშუალებით ფართო მასის დაქვემდებარება ყველაზე ხშირად პრესისგან, სოცმედიის-

გან, ტელევიზიისგან და სხვადასხვა საჯარო პლატფორმებისგან (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტვიტერი, იუთუბი და ა.შ.) ხდება, მათ ეს საქმე ყველაზე კარგად გამოსდით, იმიტომ რომ ეს საქმე ყველაზე ადვილი აქაა.

პროპაგანდის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ეპოქაში, რადგან იგი ხელს შეუწყობს ანტი პროპაგანდის მექანიზმების ჩამოყალიბებას.

პროპაგანდას მრავალ სიტუაციაში ვაწყდებით, თუმცა ყველაზე ხშირად ომსა და კონფლიქტებში, ამ დროს ხალხის მართვა ყველაზე რთულია, გამძვინვარებულ ბრბოს კი რაიმე ძლევამოსილი სჭირდება სამართავად. სწორედ პროპაგანდაა ეს ძლევამოსილი ძალა რომელსაც შეუძლია მასიური ბრბოს დამორჩილება, თუმცა ეს ძლიერ არგუმენტებს ითხოვს. პროპაგანდისტები მათ სწორედ იმ არგუმენტებს აწვდიან, რაც მათ გონებას სულ მთლიანად არევს, ამავდროულად ეს არგუმენტები ყალბია და მანიპულატორებს ხელს უწყობს ხალხის გონებაში შეაღწიონ და მარიონეტებივით მართონ ისინი. ომს მხოლოდ იარაღი და მებრძოლი არ იგებს, ომის დროს მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური დაპირისპირებები და განხეთქილებები, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურ ბრძოლაზე ბევრად რთულია პოლიტიკურ დაპირისპირებებში გამარჯვება. ხალხს უნდა დააჯერო, რომ შენი მხარე უკეთესია, შენ მას უკეთეს მომავალს, ცხოვრებას და პირობებს სთავაზობ, თუმცა ამის მხოლოდ მშრალად თქმა ზემოქმედებას ვერავიზე მოახდენს. სწორედ ასეთ მომენტებში იყენებენ პროპაგანდისტულ მეთოდებს. ხალხს იმ მხრიდან უდგებიან, რომლიდანაც ყველაზე ადვილია შეღწევა, ეხებიან მათ მტკივნეულ თემებს, რაც მათ გონებაში აბსოლუტური აურზაურს იწვევს; ასეთი ადამიანისთვის კი საკმარისია, რომ გამოსავალი დაანახო. თუნდაც ეს არასწორი მეთოდი იყოს, ის მაინც შენ გამოგყვება, რადგან ფიქრობს, რომ სხვა გზა არ აქვს. თუმცა ომებში გამოყენებული პროპაგანდების უმეტესობა, ხშირად ისტორიული ფაქტების გაყალბებას მოიცავს; გამარჯვება, რომელიც უამრავ

ცოდვას და ცუდ საქციელის ეყრდნობა, დიდ ხანს ვერ შეინარჩუ-ნებს სტაბილურობას და, ადრე თუ გვიან, ისევ განხეთქილება მოხ-დება. გარდა ამისა, ისტორიის ნამდვილ ვერსიას დავკარგავთ და ვერასდროს გავიგებთ თუ რა მოხდა სინამდვილეში, რაც საბოლოო ჯამში, უფრო დიდ არეულობას გამოიწვევს.

ისტორიის გაყალბების და მასიური პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაგალითია ბეჰისთუნის წარწერა. ეს არის მრავა-ლენოვანი წარწერა, რომელიც მდებარეობს ირანის ქირმანშაჰის პროვინციაში, ბეჰისთუნის მთაზე ქალაქ ქირმანშაჰის სიახლოვეს. წარწერა სპარსეთის იმპერიის მმართველის, დარიოს I-ის ზეობის პერიოდით თარიღდება და ეხება მის ბიოგრაფიას, მოდგმასა და წარმომავლობას. წარწერა მოიცავს ერთი და იმავე შინაარსის სამ ვერსიას, რომლებიც დაწერილია სპარსულ, ელამურ და ბაბილო-ნურ ენებზე. წარწერაზე არსებობს ხელნაწერი რაზეც გამოსახული დარიოსის სიტყვები, დარიოსი ამბობს: „მამაჩემი ჰისტასპესია, ჰისტასპესის მამა არსამესი იყო, არსარმესის მამა არიარამნესი, არიარამნესის მამა იყო ტეისპესი, ტეისპესის მამა აქემენი. ზუსტად ამიტომ ვართ ჩვენ აქემენიანებად წოდებულნი, უძველესი დრო-იდან მოყოლებული ჩვენ კეთილი ხალხი ვიყავით, ჩვენი დინასტია უძველესი დროიდან იყო მმართველობის სათავეში, ჩემამდე ამ დი-ნასტიაში რვა მეფე იყო, მე კი მეცხრე ვარ“. წარწერაში იგი ასევე მოიხსენიებს ყველა ქვეყანას, რომელიც მისი მმართველობის ქვეშ იყო: „ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მე მემორჩილებიან, აჰურამაზდას წყალობით მე ამ ქვეყნების მეფე ვარ: პერსია, ელამი, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, ეგვიპტე, ასევე მაქვს ზღვისპირა ქვეყნები, ლი-დია, საბერძნეთი, მიდია, სომხეთი, კაბადოკია, პართია, დრანგიანა, არიელები, ხორეზმი, ბაქტრია, სოღდი, განდჰარა, სკუდრა, არაქო-ზია და მაკა“. ეს წარწერა დეტალურად ასახავს დარიოსის ტახტზე ასვლას, თუმცა ეს ფაქტი, ისტორიკოსთა უმეტესობის მიერ განი-ხილება როგორც პროპაგანდის მაგალითი. ამ ფაქტებიდან გამო-მდინარე ვხვდებით, რომ აქ ადგილი აქვს ისტორიის გაყალბებას,

დარიოსმა ეს წარწერა შექმნა იმისთვის, რომ მისი ტახტზე ასვლის შემდგომ ხალხს აქემენიანთა იმპერიაზე ეფიქრა, რომ ის იყო არა მარტო იმპერია, არამედ ყველაფერზე ზემდგომი და უზენაესი. ხშირად ისტორიკოსები საკუთარი ქვეყნის მონარქებს ხელს აფარებდნენ და მათ ცუდ საქციელს ისტორიულ წყაროებში არ ასახავდნენ, თუმცა ნამდვილად შეუძლებელია ისტორია მართალი იყოს, როდესაც იმ დროისთვის მსოფლიოში არსებული ყველა სახელოვანი და ღირსეული ისტორიკოსი ამის შესახებ სხვანაირად წერდეს, თანაც, როგორც უკვე ვახსენეთ, დარიოსის ტახტზე ასვლას ყველა პროპაგანდას უკავშირებდა. ასე და ამ გვარად, დარიოსმა გამოიყენა პროპაგანდისტული მეთოდები და გააყალბა ისტორია, რათა მისი როგორც იმპერატორის სახელი უფრო გაეძლიერებინა, ხალხის ტვინში ჩაებეჭდა რომ აქემენიანები იყვნენ ერთადერთი ღირსეული მმართველები და მათი დინასტია შეუცვლელი იყო.

გავიხსენოთ გასული საუკუნე, რომლის მანძილზეც უამრავი ქვეყანა პროპაგანდის მსხვერპლი გახლდათ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად და ხალხის დასაქვემდებარებლად უამრავი პროპაგანდისტული მეთოდი გამოიყენა. გავიხსენოთ საბჭოთა ცენზურა, რომელიც ყველა ნაწარმოებიდან იღებდა იმ მონაკვეთებს, რომლებიც მათთვის არასასურველი გახლდათ და არ უნდოდათ ხალხის ყურამდე მისულიყო. მათ გააყალბეს მთელი ქართული ისტორია, ყველაფერ ცუდს, რაც რუსეთმა საქართველოს გაუკეთა, ხელი დააფარეს, დამალეს და გადააკეთეს ისტორიული წყაროები, რომლებიც ამას ნათლად და მყარად ადასტურებდა და ხალხს გონებაში ჩაუნერგეს, რომ რუსეთი საქართველოს „მფარველი ანგელოზი იყო“. საბჭოთა კავშირი პროპაგანდისტული მიზნებისთვის ყველაზე ხშირად მედიას იყენებდა, პოსტერები, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ა. შ.; თუმცა, რაც ყველაზე ცუდია, ისინი სკოლებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებში საკუთარ იდეოლოგიას ნერგავდნენ, ვინაიდან ბავშვის მართვა ყველაზე ადვილად მიაჩნდათ და ასეც იყო. სკოლები

ემსახურებოდნენ ბავშვების წვრილბურჟუაზიული ოჯახებიდან ჩამოშორებას და მათგან საბჭოთა ადამიანის შექმნას ცდილობდნენ, ერთ ერთი სკოლის თეორეტიკოსი იმასაც კი ამბობდა, რომ ბავშვები მომავალ კომუნისტების თაობად უნდა ექციათ, ეს მარტივი იქნებოდა, რადგან ბავშვები ადვილად სამართავები, მისი თქმით, „პლასტელინივით რბილები და ელასტიურები“ იყვნენ. მათ დედებს კი ავალდებულებდნენ, რომ საკუთარი შვილები საბჭოთა კავშირისათვის მიეძღვნათ, მიუხედავად იმისა, სურდათ მათ ეს, თუ არა. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გამოკრული იყო პოსტერები რომლებზეც ისტორიის გაყალბებული ვერსია იყო წარმოჩენილი, მსგავსად ხდებოდა გაზეთებში, მათგან მოწოდებული ისტორიული ინფორმაცია ყალბი იყო, ვინაიდან საბჭოთა კავშირი მხოლოდ ასე შეძლებდა გაძლიერებას და დიდხანს არსებობას. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი ანტი-გერმანულ პროპაგანდასაც აწარმოებდა, რა გასაკვირია, ესეც ისტორიული წყაროებიც გაყალბებით ხდებოდა. ხალხს აწვდიდნენ არასწორ ისტორიულ ინფორმაციას, იმ ფორმატით, რა ფორმატითაც მათთვის მისაღები იქნებოდა. საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებიდან მოყოლებული, ისინი საზოგადოებაში ნერგავდნენ იდეებს, რომ გერმანელებს საბჭოთა მოქალაქეები სძულდათ, უნდოდათ მათი დახოცვა და არსებობიდან წაშლა, ამაში იხმარდნენ არაერთ გაყალბებულ ისტორიულ წყაროს, თუნდაც პირველი მსოფლიო ომიდან აღებულს. ანტი-გერმანული პროპაგანდა განსაკუთრებით მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომის დროს მიუხედავად იმისა, რომ გერმანია და საბჭოთა კავშირი ფარულად შეთანხმებებს აწყობდნენ. მეტიც, ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ შეთანხმდნენ რუსები და გერმანელები ევროპის გაყოფაზე (რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი), თუმცა ეს ხალხის ყურამდე არ მიდიოდა, რომ პროპაგანდაარ არ ჩაეხშო. ამავდროულად, უფრო ძლიერი არგუმენტებით მეტ ზიზღს და სიძულვილს ნერგავდნენ ხალხში გერმანელების მიმართ. მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდათ ყველა მტრის მიმართ თუმცა არა ისეთი ზიზღით, როგორიც გერმანელები-

სადმი. საბჭოთა კავშირის ფესვები გაყალბებული ისტორია და მასიური პროპაგანდა იყო. დროთა განმავლობაში განვითარდა ხალხი და მეტი ცოდნა მიიღო, ნელ-ნელა ადამიანები უპირისპირდებოდნენ საბჭოთა კავშირს იმიტომ, რომ ხედავდნენ ყველა მის ცუდ საქციელს. ყველა პროპაგანდას აქვს დასასრული, მიუხედავად იმისა თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ის. საბოლოოდ მათი პროპაგანდა აღარ იყო იმდენად მტკიცე, როგორც თავდაპირველად და თავისუფალმა მოსახლეობამ მისი დამხობა შეძლო.

საბჭოთა კავშირი დაეცა, თუმცა არსებობდა ქვეყანა რომელიც იმავე იდეოლოგიით ხელმძღვანელობდა. ყველა ის იდეა და აზრი, რაც საბჭოთა კავშირმა დანერგა, „შთამომავლობით ერგო“ რუსეთის ფედერაციას. მართალია სსრკ-ში მხოლოდ ეს ქვეყანა არ ყოფილა, მაგრმ სხვა ქვეყნებმა მოინდომეს და შეძლეს საბჭოური იდეოლოგიის განდევნა, ხოლო რუსეთს ეს არასდროს უნდოდა, ისინი დღემდე ასე ხელმძღვანელობენ, თუმცა არა იმდენად მკაფიოდ, რამდენადაც წარსულში. ისინი დღემდე ისტორიის გაყალბებითა და პროპაგანდით ცდილობენ თავის დამკვიდრებას. ისტორიის გაყალბებას ისინი მიმართავენ უკრაინის ომშიც – აყალბებდნენ ფაქტებს კიევის ჩამოყალიბების შესახებ და თავს კიევის რუსეთის მოქალაქეების შთამომავლებად ასაღებდნენ. ამის საპირისპიროდ არაერთი ისტორიული წყარო არსებობს, რომლებიც ადასტურებენ, რომ დღევანდელი რუსები, კიევის რუსეთის მოქალაქეებს თითქმის არ ენათესავებიან.

სამწუხაროდ, სწორედ პროპაგანდა იყო ის ძლიერი იარაღი, რომლის წინააღმდეგაც საქართველოს ოდითგანვე უწევდა ბრძოლა. 1992-1993 წლების აფხაზეთის ომში, საქართველომ დიდი მარცხი განიცადა, ჩვენ დავკარგეთ საქართველოს ისტორიული კუთხე აფხაზეთი და მასთან ერთად ჩვენი ისტორიის დიდი ნაწილიც. სწორედ ამ ომში მომედებდა პროპაგანდა ძლიერად, აქ წარმართული პროპაგანდის შედეგად ხალხის აზრები გაიყო, ისტორიის უზარმაზარი ნაწილი გაყალბდა და მისი ახალი, არასწორი ვერსიით ჩანაცვლდა.

რუსებმა აფხაზეთის მოსახლეობას შთააგონეს, რომ ისინი დამოუკიდებელი ერი იყვნენ, ჰქონდათ სრული უფლება, რომ დამოუკიდებლად ემართათ საკუთარი ქვეყანა და არ იყვნენ ვალდებულები საქართველოს დაქვემდებარებოდნენ. ამასთანავე, გამოიყენეს ყალბი ისტორიული ფაქტები, რამაც უფრო გაამძაფრა აფხაზებში დამოუკიდებლობის სურვილი. პროპაგანდისტებმა გააყალბეს ისტორიული წყაროები, ამასთანავე დაანახეს „აფხაზებს" რომ წარსულში აფხაზეთს სამეფო ეწოდებოდა, რამაც დააჯერა ისინი, რომ სხვა წარმოშობის იყვნენ და პროპაგანდისტები მართლები იყვნენ.

ამ საქმეში არა მხოლოდ რუსული პროპაგანდაა გარეული, არამედ „აფხაზურიც". ისინი თავადაც დიდ პროპაგანდას აწარმოებენ და ისტორიის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილს ხელს აფარებენ და მის არასწორ ვერსიას წარმოუჩენენ მთელ მსოფლიოს. ისინი რომ სხვა წარმოშობის არიან, სიმართლეა, ის ხალხი, ვინც დღეს საკუთარ თავს აფხაზებს უწოდებს, სინამდვილეში სრულიად არ არიან აფხაზები. ისინი კავკასიონის გადაღმა მცხოვრები ერთ-ერთი ტომი, სახელად აფსუები არიან. ეს ხალხი ოდითგანვე არ ცხოვრობდა აფხაზეთში. XVI-XVII საუკუნიდან მოყოლებული აფხაზებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომებთან, ეს ტომები ხშირად ჩამოდიოდნენ აფხაზეთში და, როგორც ჩანს, ბევრი მათგანი აქ თავშესაფარს ეძებდა, პოულობდა კიდეც და შემდგომში ადგილობრივი მოსახლე ხდებოდა. XVI საუკუნიდან მოყოლებული უცხოელი ისტორიკოსები აფხაზ-ს მოიხსენიებდნენ როგორც „აბაზა"; მოგვიანებით ორი ტერმინი – „აფხაზი" და „აბაზა" ერთმანეთში აირია და მცირე დროის შემდეგ უცხოელი ისტორიკოსები ამ ორს ერთმანეთისგან ვეღარ ასხვავებდნენ. თუმცა მხოლოდ ტერმინების შერწყმას ვინ ჩივის, XVII საუკუნიდან უცხოელი ისტორიკოსები აფხაზ ხალხს სხვა ტომის ხალხისგან ვეღარ არჩევდნენ, მაგრამ ამბობდნენ, რომ ეს ნამდვილად არ იყო იგივე ხალხი, ვინც საქართველოს აღორძინებაში, გაქრისტიანებასა და კულტურულ-პოლიტიკურ მშენებლობაში დიადი წვლილი შეიტანა. ისინი კულ-

ტურითაც კი აღარ გავდნენ ამ ხალხს. ამბობდნენ, რომ ისინი თავიანთი პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით აშკარად არ იყვნენ აფხაზთა შთამომავლები, უფრო მეტად ჩერქეზებს გავდნენ სამოსით, წყობით და ტრადიციებით, ვიდრე აფხაზებს. გარკვეული დროის შემდეგ კი მთლიანად შეიცვალა აფხაზთა სახე, ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხის ჩამოსვლის შემდეგ, ერები ერთმანეთში აირია და ჩამოყალიბდა ახალი ეთნოსი, სახელად ,,აფსუა''. თავდაპირველად ქართველები ამ ერის ჭეშმარიტ სახეს ვერ ხედავდნენ და ისევ აფხაზებს უწოდებდნენ, იმ დროისთვის აფსუებიც დიდად არ ასაღებდნენ თავიანთ თავს აფხაზებად. ქრისტიანულ აფხაზეთში წარმართობა მომძლავრდა, შემდეგ კი, ოსმალეთის მიერ დაპყრობის შედეგად, რელიგიები მკვეთრად შეიცვალა და მკვიდრი აფხაზების ნიშანწყალი გაქრა. ამ ერმა დიდი რევოლუცია განიცადა, რის შედეგადაც მივიღეთ „ახალი აფხაზეთი“, ახალი ეთნოსის ხალხით, რომელც ამჯერად თავს უკვე აფხაზად ასაღებდა და მისი კულტურის მისაკუთრებას ცდილობდა. XVII საუკუნეში ლევან II დადიანმა რამდენჯერმე დაარბია აფხაზეთი, ამ დროისთვის კი მთიდან სხვადასხვა ტომის ხალხის ჩამოსახლება მასიურად ხდებოდა. აფხაზეთში საერთოდ აღარ შენდებოდა ქრისტიანული სალოცავები, მეტიც, ქრისტიანები თითქმის საერთოდ გაქრნენ. აფსუებმა საკუთარ რელიგიად ისლამი აღიარეს და თურქების მოკავშირეები გახდნენ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებით, აფსუები მათთან მისულ თურქებს ხმლისა და ფარის გარეშე დახვდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ აფხაზეთმა საქართველოს ზურგი აქცია. მათ დაიწყეს ქართველებზე „ნადირობა“ – იტაცებდნენ ბავშვებს და თურქებზე ჰყიდდნენ, ამასთანავე დაიწყეს მეკობრეობა, აფსუა მეკობრეებს თურქებიც კი უფრთხოდნენ. მთელმა ამ რიგმა მოვლენებმა საბოლოოდ აფხაზები გააქრო და მათი ადგილი აფსუებით შეავსო, თუმცა აფსუები დღემდე აყალბებენ ისტორიას, თავს აფხაზებად ასაღებენ, ითვისებენ მთელ აფხაზურ კულტურას, ტერიტორიას და წარმოაჩენენ ისტორიის იმ ვერსიას, რომელიც მცდარია თუმცა მათთვის

მომგებიანი და ხელჩასაჭიდი. დღევანდელი ე. წ. აფხაზთა 80 % ატარებს ქართულ გვარს ხოლო 12-13 % ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინურს. 80 % ატარებს გვარებს: ალანია, მალანია, წერეთელი, ახვლედიანი, ჭკადუა, გურგულია, სანიკიძე, ჩაკვეტაძე, ჭელიძე და ა. შ. თუმცა მათ ესეც მითვისებული აქვთ და ამ გვარის ნამდვილი წარმომადგენლები არ არიან, მათ არანაირად არ ენათესავებიან. ხოლო 12-13 % ატარებს გვარებს: არძინბა, ხინტბა, წვიბჟა, თარბა, ბგანბა, ხიკუბა, ბუთბა, შინკუბა და ა .შ. აფხაზეთში არსებული 450 გვარიდან 300 ქართულია, 100-ზე ნაკლები ჩრდილოკავკასიური ხოლო დანარჩენი ოსმალური და სპარსული გავლენის შედეგად შემორჩენილი.

როგორც უკვე ვახსენეთ, რუსები შთააგონებდნენ სწორედ ამ „აფხაზებს“, რომ ისინი ოდითგანვე დამოუკიდებელი ქვეყნის ნაწილნი იყვნენ. მართალია, აფხაზეთის მეფე ხშირად მოიხსენება ისტორიულ წყაროებში, თუმცა ამას რუსები აფსუებს თავიანთი გადმოსახედიდან აჩვენებდნენ და აჯერებდნენ, რომ ბაგრატი (ბაგრატ მესამე) მათი ანუ „აფხაზთა მეფე“ იყო. ისინი შთააგონებდნენ მათ რომ „მეფე აფხაზთა“ იყო მეფე მათი წინაპრებისა, რომლებიც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ისინი საქართველოს არ ეკუთვნოდნენ, არამედ წარმოადგენდნენ ცალკეულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს თავისი მონარქით. ახლა მოდით გავიხსენოთ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ მესამე. როგორ იყო იგი წოდებული? ბაგრატ მესამის სრული ტიტულატურა იყო: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა კურაპალატი“. ბაგრატი კი სრულიად საქართველოს მეფე გახლდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის სამეფო საქართველოს ნაწილი და არა თვით დამოუკიდებელი სამეფო გახლდათ. მსგავსი ტიტულატურის მატარებელი არაერთი ქართველი მეფე იყო, მაგალითად დავით აღმაშენებელი, წოდებული როგორც: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰინშა“. ერთი შეხედვით მარტივია ის გაიაზრო რომ აფხაზეთი უბრალოდ საქართველოს ნა-

წილი იყო და არა დამოუკიდებელი სამეფო, თუმცა პროპაგანდის ძალაც ხომ ესაა, რუსეთმა შეძლო და აფსუების გონებაზე იმდენად ძლიერად იმოქმედა რომ მათ საღი აზროვნების უნარი დააკარგვინა და ტყუილი დააჯერა. ეს კი ტრაგიკული მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია ისტორიის გაყალბებას.

პროპაგანდას და ისტორიის გაყალბებას არა მარტო ადამიანების იდეოლოგიების შეცვლა, მათი სრულად დამორჩილება, მათით მანიპულირება და მათი ტვინების გამორეცხვა შეუძლია, ისტორიის გაყალბებას გაცილებით უარესი შედეგების გამოწვევაც შეუძლია. რუსეთის მიერ აფსუებში დანერგილმა პროპაგანდამ საქართველოს მოსწყვიტა ისტორიული კუთხე – აფხაზეთი, ამ პროპაგანდამ გამოიწვია აფხაზეთის ომი და ყველამ კარგად ვიცით, თუ რა შედეგების მომტანია ომი. ამ ომის შედეგად დაიღუპა ათი ათასი ქართველი მშვიდობიანი მოსახლე, ასეულობით ქართველის კვალი უგზო-უკვლოდ გაქრა, დაიჭრა და დასახიჩრდა ათი ათასზე მეტი, ხოლო სამასი ათასი ქართველი რუსებისა და აფსუების მიერ საკუთარი სახლებიდან გამოდევნეს. ისინი დევნილები გახდნენ, ბევრი მათგანი იქამდე დაიღუპა სანამ უსაფრთხო საცხოვრებელს ან თუნდაც საჭმლის მიღებას შეძლებდა, გადარჩენილები კი მრავალი წლის მანძილზე საშინელ და გაუსაძლის გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, მათ უწევდათ მძიმე სამუშაოს შესრულება რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ. უამრავი დევნილი ოჯახი ამ საშინელებას ვერ გადაურჩა. გარდა ამისა, აფხაზეთის ომში ხალხმა იხილა სრული უმსგავსობა და რუსების და აფსუების ნამდვილი სახე, მართალია ბრძოლა ხოცვა-ჟლეტასთან ასოცირდება, თუმცა ის, რაც მათ ქართულ დასახლებებში გააკეთეს, ყოველგვარ ადამიანურ საზღვრებს აბიჯებს. ბრძოლის შედეგად დატყვევებულ ქართველებს სასტიკი მეთოდებით აწამებდნენ, თავები ჰკვეთდნენ და ჯარისკაცები მათით ფეხბურთს თამაშობდნენ, აუპატიურებდნენ ქალებს და ბავშვებს, შემდეგ კი ხოცავდნენ, დანარჩენ ოჯახის წევრებს აიძულებდნენ ეყურებინათ ამ ყველაფრისთვის, სანამ მათაც არ დახოცავდნენ

ერთი მეორის მიყოლებით. პატარა ბავშვებს ტრასაზე აწვენდნენ და მათ სხეულებს ზედ უვლიდნენ მძიმე არტილერიის მანქანებითა და ტანკებით. არსებობს ისტორიული წყაროები, რომლებიც ამ ყველაფერს ადასტურებს: ცოცხლად გაატყავეს ქართველი ტყვეები, დასახლებებში ჩამოკიდეს წარწერით „ იყიდება ქართველის ხორცი", სოფელ ბზიფში მოკლული გიორგი აბრამიშვილის ხორცის ნაჭრები ჯერ დაამარილეს შემდეგ მისსავე ფეხსაცმელში ჩაალაგეს და მის მეუღლეს გაუგზავნეს. 63 წლის მერი ლუკავა ცოცხლად ჩააგდეს ჭაში და იქ ამოხადეს სული. „ბოევიკებმა" მშობლებისა და მთელი სოფლის თვალწინ, საჯაროდ გააუპატიურეს 12-16 წლის 25 გოგო, უმწეო ბავშვებზე ჯგუფური ძალადობა მთელი კვირა გრძელდებოდა. ბერძენი ქალი მერი ანასტასიადი, რომელმაც ქართველების გადარჩენა სცადა, ჯერ დახვრიტეს, შემდეგ კი მისი ცხედარი იმ ქართველების თვალწინ დაწვეს, რომლების გადარჩენასაც ცდილობდა იგი. საავადმყოფოში მიიტანეს შუაზე ხერხით გადაჭრილი გოგონას გვამი, წერილით: როგორც ამ გოგონას სხეულს ვერ გააერთიანებთ, ისე ვერ გააერთიანებთ საქართველოს და აფხაზეთს. სოხუმში მეთორმეტე საშუალო სკოლასთან, ლუდხანის წინ მთვრალი „ბოევიკები" ქართველთა მოკვეთილ თავებს დემონსტრაციულად ფეხით აბურთავებდნენ და ხორხოცებდნენ. სოფელ ახალდაბაში ქალები და ბავშვები 6 წლის ზევით თითქმის ყველა გააუპატიურეს. ბევრს თავი მოკვეთეს, ზოგიერთებს კი ცოცხლად ჩამოაცვეს თავზე ავტომანქანის საბურავები და ცეცხლი წაუკიდეს. ახალდაბაში ბავშვებს ხელები და ფეხები გადაუმტვრიეს, სარებზე დასვეს, სტადიონზე გაუპატიურებული ქალები ცოცხლად დაწვეს, ბავშვები გაატყავეს და ხორცზე დააწერეს ,,ქართული ძაღლი, იყიდება კუპონზე". თვითმხილველთა ჩვენებით, 5 ოქტომბერს დაბა ლესელიძეში აწამეს და ელექტრო ბოძებზე ჩამოახრჩეს ორმოცდაათამდე ქართველი. აი ზუსტად ეს გამოიწვია ისტორიის გაყალბების შედეგად წარმოშობილმა პროპაგანდამ, ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით,

რაც ისტორიის გაყალბებას აქვს გამოწვეული, ამიტომაცაა საჭირო საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ყოველთვის გაარჩევს კარგს და ცუდს ერთმანეთისგან და პროპაგანდის დანახვისთანავე აამოქმედებს ანტიპროპაგანდას, ამ პროპაგანდის დასამხობად, რათა თავი ავარიდოთ ყოველგვარ უბედურებას.

გარდა ამისა აფსუები და რუსები სხვა პროპაგანდასაც აწარმოებდნენ, ისინი მაქსიმალური ძალებით ცდილობდნენ, რომ მათი გარემოცვიდან სრულიად ამოეძირკვათ ქართული კულტურის ნიშანწყალი, როგორებიც იყო: ქართული ტოპონიმიკა, ისტორია, ქართული ცხოვრების წესი, ჩვენი ადათები, ტრადიციები, დღესასწაულები, ქართული შენობა-ნაგებობების სტილი, ქართული მენტალობა და ყველაფერი სხვა, რაც მათ ქართული ჰქონდათ. რუსეთის ხელისუფლება ისტორიის გაყალბებით ცდილობდა აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორებას. ამის ნათელი დასტურია აფხაზეთის ძველი და ახალი ტოპონიმიკა, სოფლის სახელწოდებები.

- დერეკეი — 1930 წელს ანდრეევსკოეს თემში შედიოდა. 1948 წელს ქართული სახელი მთისკალთა ეწოდა. 1992-1993 წლების შემდეგ აფხაზებმა რაშხუა დაარქვეს.
- ზემო წყარო — სოფელი წებელდის თემში, მდ. კოდორის ქვემო დინების ხეობაში. ამ ტერიტორიაზე იყო სოფლები ზემო ლემსა და შუა ლემსა. 1930 წელს ზემო ლემსა და შუა ლემსა ცალ-ცალკე შედიოდა სასოფლო საბჭოში. 1948 წელს ზემო ლემსას და შუა ლემსას ზემო წყარო დაერქვა. მისი ამჟამინდელი სახელი ადგილხივა. სახელწოდება აფხაზურ ენაზე რუხ მიწას ნიშნავს.
- კელასური — სოფელი წებელდის თემში, აფხაზეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. კელასურის ხეობაში. XIX საუკუნის მიწურულს ამ ადგილას უკრაინელმა მოახალშენეებმა შექმნეს სოფელი პოლტავსკოე, რომლის ქვემო ნაწილს პოლტავო-კელასური შეერქვა. 1948 წელს კელასური ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია კიალაშვირ.
- კირნათი — სოფელი წებელდის თემში, აფხაზეთის მთისწი-

ნეთში. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ერქვა სული. 1930 წელს აზანთხის სასოფლო საბჭოში შედიოდა. 1948 წელს კირნათი დაერქვა. მისი ამჟამინდელი, აფხაზური სახელია ციხჩა.

- მარანი — სოფელი წებელდის თემში, მდ. პატარა მაჭარის ხეობაში. XIX საუკუნის მიწურულს ამ ადგილას უკრაინელმა მოახალშენეებმა შექმნეს სოფელი პოლტავსკოე, რომლის ზემო ნაწილს შეერქვა პოლტავა ქართული ან ქართული პოლტავა. 1948 წელს ეწოდა ქართული სახელი მარანი. მისი ამჟამინდელი სახელია პაპაა.
- მეტელევკა — სოფელი წებელდის თემში, მდ. კელასურის ხეობაში. XIX საუკუნის მიწურულს აქ შეიქმნა სოფელი მეეტელეევკა. სახელწოდება მომდინარეობს ამ მიწების მოიჯარის მეტელეევის გვარიდან. 1930 წელს შედიოდა პოლტავა-ოლგინსკოს სასოფლო საბჭოში. 1949 წელს ოქტომბრის სასოფლო საბჭოში შედიოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში ქართული სახელით კორიანტელი ეწოდა, რაც რუსული სახელის, „მეტელის“ ქართული თარგმანია. 50-იან წლებში დაბრუნდა სახელი მეტელეევკა. მისი ამჟამინდელი სახელია ბირძხა / ბირცხა.
- ქვემო წყარო — სოფელი წებელდის თემში, მდ. კოდორის ხეობაში. ადრე ერქვა ქვემო ლემსა. 1930 წელს წებელდის სასოფლო საბჭოში შედიოდა. 1948 წელს ეწოდა ქვემო წყარო. მისი ამჟამინდელი სახელია ჯმათშა.
- წიფლოვანი - სოფელი წებელდის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. XIX საუკუნის მიწურულს პატარა კრაევიჩი ხოლო 1948 წელს წიფლოვანი ეწოდა. კრაევიჩი 1930 წელს წებელდის სასოფლო საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ჯაა.
- საბერიო — სოფელი საბერიოს თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდინარეებს ენგურსა და ერისწყალს შორის. დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. 1886 წელს იყო თემის ცენტრი. 1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა საბერიოს თემი 21 სოფლით. სახელწოდება ქართულია, სა-ო სუფიქს-პრეფიქსით გაფორმებული

გეოგრაფიული სახელწოდებაა და ბერიას გვარის სამკვიდროს ნიშნავს. 1992-1993 წლების შემდეგ აფხაზებმა პაპინრხუა დაარქვეს.

- ნაჯიხური — სოფელი საბერიოს თემში, აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. სახელწოდება მეგრულია და ნაციხარს ან ნაჯიხურაკს ნიშნავს. გადმოცემით, აქ მწყემსს ჰქონია დროებითი სადგომი - ჯიხური. დატანილია 1861 წლის სამეგრელოს რუკაზე. 1886 წელს საბერიოს თემში შედიოდა. სოფელში არის უბანი სასოსელიო - სოსელიების, ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წლების შემდეგ ნაჯიხურს აფხაზებმა დაარქვეს აბააჟვ, რაც ძველ ციხეს ნიშნავს.
- ნაკარღალი — სოფელი ფიჩორის თემში, სამურზაყანის დაბლობზე. 1930 წელს შედიოდა გაგიდა-ნაჭკადოუს სასოფლო საბჭოში. სახელწოდება მეგრულია. „ნაკარ“ აღნიშნავს ადგილს სადაც „კარე“, მწყემსების დროებითი სადგომი იდგა. ნაკარღალი „ნაკარავალის ღელეს“ ნიშნავს. წარმოიქმნა როგორც ღელის სახელი და მოგვიანებით სოფლის სახელად იქცა. ამის შემდეგ ღელეს ნაკარაღალიშ ღალი ეწოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია კლაკარძი.

მე, როგორც ვიკიპედიელმა, ისტორიის გაყალბებასა და პროპაგანდის შესახებ, ესეზე მუშაობის პერიოდში ქართულ ვიკიპედიაში დავწერე ორი ძალიან მნიშვნელოვანი და საკმაოდ დიდი მოცულობის სტატია, „პროპაგანდის ისტორია“ და ,,პროპაგანდა საბჭოთა კავშირში“. სტატიები მოიცავენ ინფორმაციას თუ როგორ ხდებოდა ისტორიის გაყალბება წარსულში სხვადასხვა ქვეყნებსა და ერებს შორის და როგორ ცდილობდა საბჭოთა კავშირი ისტორიის გაყალბებით შექმნილი პროპაგანდით გამოერეცხა ხალხის ტვინები და ეკონტროლებინა ისინი. გარდა ამისა სტატიებში შეძლებთ გაიგოთ, თუ რა მეთოდებს მიმართავდნენ ისტორიის გაყალბებისთვის და პროპაგანდის აღორძინებისთვის.

საბოლოო ჯამში, ყველანი ვთანხმდებით, რომ ისტორიის გაყალბება იწვევს მთელ რიგ პრობლემებს, მით უმეტეს, თუ ამას პროპაგანდისტული მეთოდებით ცდილობენ. ამ დროს იქმნება სრული

ქაოსი, ზემდგომი ძალა სრულ კონტროლს ეუფლება ხალხზე და საკუთარი ბოროტი მიზნებისთვის იყენებს მათ. ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენებიდან გამომდინარე ჩვენ კარგად ვიაზრებთ, რომ ისტორიის გაყალბებამ არაერთი ფატალური შედეგი გამოიწვია და ეს ყოველთვის ასე იქნება. ხშირ შემთხვევაში კი, შესაძლოა ჩვენ სიტუაციაშიც ისე დასრულდეს, როგორც ეს აფხაზეთში მოხდა. პრობლემებს პრობლემები მოყვება, აზრები ერთმანეთში ირევა და აფექტში მყოფი აბობოქრებული ხალხის დაპირისპირების შეჩერება შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა არასდროს დავკარგოთ საღი აზრი, ყოველთვის როდესაც წავაწყდებით თუნდაც ერთ პატარა ფაქტს, სადაც ისტორია ყალბდება, მუდამ გვახსოვდეს, თუ რის გამომწვევი შეიძლება იყოს ეს, ყოველთვის შევეცადოთ რომ ამის საწინააღმდეგოდ ავამოქმედოთ ბერკეტები, რათა მომავალი თაობა, წინა თაობის ცოდვების გამო არ დაისაჯოს.

იმსა-ს სპეციალური პრიზი
GAHE INCENTIVE PRIZE

ქაქუცა ჩოლოყაშვილი - გმირი თუ ანტიგმირი
KAKUTSA CHOLOKASHVILI - HERO OR ANTI-HERO

ავტორი:
თათული კუპრაძე
პედაგოგი:
ნანა სოლოღაშვილი

თბილისი, 89-ე საჯარო სკოლა

Author:
TATULI KUPRADZE
Teacher:
NANA SOLOGHASHVILI

Public school N 89, Tbilisi

ქაქუცა ჩოლოყაშვილი - გმირი თუ ანტიგმირი

„ისტორია ჰუმანიტარული მეცნიერების დარგია, რომლის მიზანია შეისწავლოს წარსული და წარმოაჩინოს იგი მომავალი საზოგადოებისათვის“ – ეს სიყვები ეკუთვნის კონკურსანტს, რომელსაც სურს გვიჩვენოს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ნამდვილი სახე, ჩირქი მოწმინდოს ბოლშევიკების მიერ მის შებღალულ სახელს და ხმამაღლა გამოაცხადოს, რომ მტერი ხშირად გმირს ანტიგმირად გვისახვს, მოღალატეობასა და ათასგვარ საშინელებას სწამებს, რათა დასხულ მიზანს მიაღწიოს. ნაშრომში ლაკონურად, მაგრამ, ამავე დროს, სრულადაა ასახული ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ღვაწლი სამშfობლოს წინაშე, ღვაწლი ადამიანისა, რომელიც ათწლეულების მანძილზე ბანდიტად იყო შერაცხული და, რომლის სახელის ხსენებაც იკრძალებოდა. არადა სწორედ ქაქუცა იყო „სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ფიზიკური და სულიერი ღირსებებით გამორჩეული პიროვნება, ადამიანი, რომელსაც შეუძლია სხვაზე ზრუნვა, სხვისი ტკივილის გაზიარება, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირვა“ (ასე განმარტავს ავტორი სიტყვა გმირის მნიშვნელობას). დიახ, „დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოს ეროვნული გმირია!“.

KAKUTSA CHOLOKASHVILI - HERO OR ANTI-HERO

“History is a field of humanitarian science, the purpose of which is to study the past and present it to the future society” - these words belong to the contestant who wants to show the true face of Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili, to clean up the dirt on his name that was defiled by the Bolsheviks, and to loudly announce that the enemy often portrays the hero as an anti-hero, accuses of treachery and numerous wrong deeds in order to achieve his final goal. In the work the merits of Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili towards his motherland are described in a concise but almost complete manner. Kakutsa Cholokashvili was branded as a bandit for decades and thus his name was forbidden to be mentioned. However, Kakutsa was “immensely in love with the motherland, a person distinguished by physical and spiritual virtues, a person who can care for others, share other people’s pain, sacrifice himself for the well-being of the motherland” (this is how the author explains the meaning of the word hero). Yes, “Today, Kakutsa Cholokashvili is the national hero of Georgia!”.

ისტორია იშვიათად იყო და არის ობიექტური თუ სუბიექტური ზეგავლენის ქვეშ. ისტორიის გაყალბება პროპაგანდის გავრცელებული მეთოდია, დღეს-დღეობით მუდმივად ხდება ისტორიული დოკუმენტების, წყაროების, სტატისტიკის გაყალბება და ამასთანავე არასანდო წყაროების ლეგიტიმურად წარმოჩენაც. ამ ყოველივეს კი უამრავი მიზანი აქვს, კერძოდ მოწინააღმდეგის დემონიზება, საზოგადოების მობილიზება, მტრის ხატის შექმნა და სხვა. როგორც ცნობილია, მემატიანეთა ნაწერები, ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა, ნაწერებში ასახული ფაქტები კი შესაბამისად დამკვეთისთვის მისაღები და სასურველი უნდა ყოფილიყო.

უძველესი დროიდან მუდმივად ხდებოდა გარკვეული ისტორიის შელამაზება და ინტერპრეტაციით გადმოცემა, მუდმივად ხდებოდა მცდელობა, ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისა თუ ისტორიული პიროვნების მოღვაწეობის ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი ვერსიის შექმნისათვის.

იმისათვის, რომ გავიაზროთ თუ რას მოიცავს ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა, საჭიროა განვიხილოთ ისტორიის მნიშვნელობა. ისტორია ჰუმანიტარული მეცნიერების დარგია, რომლის მიზანია შეისწავლოს წარსული და წარმოაჩინოს იგი მომავალი საზოგადოებისათვის. თუმცა, ამასთანავე, ისტორია მრისხანე და საშიში იარაღიცაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისა და სტრატეგიების განხორციელება.

პოლიტიკაში მუდმივად ხდება მსგავსი ქმედება, ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს საზოგადოებასთან, სამიზნე აუდიტორიასთან, მსგავსი კომუნიკაციის დამყარებას. აი ეს არის სწორედ პროპაგანდა. პროპაგანდა მარტივია, თუმცა მიმზიდველი ადამი-

ანისთვის. ის ზუსტად ასახავს იმას, რაც სამიზნე საზოგადოებას აინტერესებს. დამაჯერებლობისთვის კი ისინი სხვადასხვა გზებს მიმართავენ. მაგ.: განმეორებადობას, სუსტი აზროვნების მქონე, სამიზნე საზოგადოების მოძებნას.

აქედან გამომდინარე კი შეგვიძლია ვთაქვათ, რომ თუ განათლების დონის ამაღლება მოხდება საზოგადოებაში, ეს ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი იქნება ყალბი და შელამაზებული ისტორიის პროპაგანდისა. საბჭოთა საქართველოს ისტორიაში არაერთი ფაქტი მოგვეპოვება იმდროინდელი ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ნამდვილი, რეალური ისტორიის გაყალბებისა და ხელისუფლებისათვის სასურველი და მომგებიანი კუთხით წარმოჩენისა.

სიმბოლურია, რომ წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა აჯანყებიდან (იგულისხმება 1924 წ. აჯანყება), რომლის სათავეშიც ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი იდგა, ასი წელი სრულდება და დღესაც საქართველო, ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას. ამიტომ გადავწყვიტეთ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის წარმოჩენით, კიდევ ერთხელ პატივი მივაგოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, რომელთა მოღვაწეობაც ისტორიის მანძილზე, სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, არაერთგვაროვნად იყო შეფასებული და ხშირად ეროვნულ გმირებს ,,ბანდიტებად“ და ,,ხალხის მტრებად“ მოიხსენიებდნენ.

სწორედ, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილია ის პიროვნება, რომელსაც გარკვეული დროის მანძილზე ხელისუფლება თავისი პროპაგანდისტული მიზნით, ხან გმირად, ხან კი ანტიგმირად - ბანდიტად, საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებად მიიჩნეოდა. ეს ყოველივე კი გავრცელებული გაყალბებული ისტორიის პროპაგანდის დამსახურება იყო. თუ გადავხედავთ საქართველოს გასაბჭოების ისტორიის პერიოდს, დავინახავთ, რომ ყველა ის პატრიოტი ქართველი, რომელიც თავდადებით იბრძოდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, იმ პერიოდის ისტორიაში მოხსენიებულნი იყვნენ უარყოფით

კონტექსტში. მათი მგრძნებარე პატრიოტიზმი, სამშობლოსთვის თავგანწირვა და მსახურება საბჭოთა პროპაგანდის ისტორიის მიერ წარმოჩენილი იყო, როგორც ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოღალატეობრივი ქმედება. მხოლოდ XX ს-ის 90-იან წლებში საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მოხდა გარკვეული ისტორიული ფაქტებისა და პიროვნებების მოღვაწეობის გადაფასება, ყალბი ისტორია შეიცვალა ჭეშმარიტი ისტორიით და ყველა გმირს, თუ ანტიგმირს თავისი ადგილი მიუჩინეს ისტორიის მემატიანეებმა.

და ზოგადად ვინ არის გმირი? ეს არის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ფიზიკური და სულიერი ღირსებებით გამორჩეული პიროვნება, ადამიანი, რომელსაც შეუძლია სხვაზე ზრუნვა, სხვისი ტკივილის გაზიარება, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირვა.

როგორ ყალიბდებიან ადამიანები გმირებად? ისინი ყველას გვერდით საზოგადოებაში ჩვეულებრივი ცხოვრების წესით ცხოვრობენ, გმირებად არ იბადებიან, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში, მათ შეუძლიათ სამშობლოსათვის, თავისი თანამემამულეებისათვის თავისგანწირვა, პირადი კეთილდღეობის უკან გადაწევა და სიმართლის, სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლა. ბევრი მათგანი იმ დროს გმირობაზე არც ფიქრობს, მაგრამ, შემდგომში ისტორია წარმოაჩენს მას, როგორც გმირს. ზუსტად ამის მაგალითია ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

გმირებზე იწერება ლიტერატული თუ პოეტური ქმნილებები, იქმნება ფერწერული ტილოები, ქანდაკებები, გმირები დიდხანს რჩებიან ხალხის მეხსიერებაში.

გმირული გამოსახულებები მეტად დამახასიათებელია ისტორიული თემებისთვის, სადაც გმირები უმეტესწილად პატრიოტები, სამშობლოსთვის თავგანმწირავები, ადამიანური და სამხედრო თვისებების მქონე პირები არიან.

რაც შეეხება ანტიგმირს, ის, ჩამოთვლილი თვისებების საწინაა-

ღმდეგოთი გამოირჩევა. ანტიგმირს არ გააჩნია განსაკუთრებული ძალა, ის ყოველთვის მამაცი არაა. მისი მოტივები შეიძლება იყოს დაბალი და არა ისეთი, როგორიც გმირის. ანტიგმირი იყენებს ჭკუას და არა ძალას, გმირი ანტიგმირისგან განსხვავებით მტრებთანაც კი კეთილშობილია.

სწორედ, რომ ჩამოთვლილი თვისებები დაგვეხმარა ქართულ საზოგადოებას იმაში, რომ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში წარმოჩენილი ყოფილიყო გმირად არა ანტიგმირად.

როცა 1921 წელს საქართველოს დიდი კატასტროფა ეწვია, როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იყო თავისი ტერიტორია დაეტოვებინა, როდესაც დაშლილი იქნა ქართული ჯარი და დამფუძნებელი კრება გარეკილი, როდესაც დევნილ იქნენ პოლიტიკური პარტიები, ხოლო ეროვნული და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოსპობილი, როდესაც მტერმა აღკვეთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის უფლება სავსებით აკრძალა – ჯერი მიდგა პიროვნებაზედ, რომელიც ასეთ მძიმე პირობებში ერის მისწრაფებასა და მის იდეალს საჯარო მოქმედებით გამოხატავდა. ეს მისწრაფება არის საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს პირი იყო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.” – ეს სიტყვები ცნობილ, ქართველ პოლიტიკურ და საზოგადე მოღვაწეს, შალვა ამირეჯიბს ეკუთვნის, რომელიც წარმოთქვა ქაიხოსროს დაკრძალვაზე პარიზის მახლობლად, სენტ-უანის სასაფლაოზე, 1930 წელს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ყველა თანამედროვე აღიარებდა მის პიროვნულ მიმზიდველობას: ის იყო ქართველი რაინდის განსახიერება. ლამაზი, დახვეწილი სწორი ნაკვთებით, არისტოკრატული მანერებითა და ამაყი მზერით. უშიშარი, მაგრამ, იმავდროულად, ფრთხილი და გონიერი. გამოირჩეოდა თავდაჭერით, ქალებთან რაინდული დამოკიდებულებით, ცხენზე ჯდომითა და ჯირითით. კარგად ცეკვავდა, დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული „ლეკური“.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, ცნობილი ქართული გვა-

რის — ჩოლოყაშვილების წარმომადგენელი, დაიბადა 1888 წლის 14 ივლისს, კახეთში, სოფელ მატანში. მისი დედ-მამა იყვნენ დარია და იოსებ ჩოლოყაშვილები. ამ გვარის მატარებლებიც თავადები იყვნენ. ისინი საქართველოს სამხედრო და პოლიტიკურ ელიტას მიეკუთვნებოდნენ.

ქაქუცა სწავლობდა ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელიც არსებობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. იმ დროისათვის ეს სასწავლებელი წარმოადგენდა ქართული ეროვნული განათლების სისტემის უმთავრეს კერას და გამოირჩეოდა ეროვნული სულისკვეთებით. ამ პერიოდში გიმნაზიის დირექტორი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. 1907 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა დაამთავრა გიმნაზია.

1909 წელს, 21 წლის ასაკში ქაქუცა რუსეთის ჯარში გაიწვიეს. მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, რომელიც წარმოადგენდა რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთ საუკეთესო საკავალერიო შენაერთს. ჯარში მსახურობისას ოფიცრის წოდება მიიღო. 1912 წელს, გათავისუფლდა სამხედრო სამსახურისგან და საქართველოში, თავის სამშობლოში დაბრუნდა. 1913 წელს ცოლად შეირთო ნინო მეღვინეთუხუცესი, ვისგანაც ორი ასული შეეძინა. ქაქუცამ ამის შემდეგ საკუთარ მამულში სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, პორუჩიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ჯარში გაიწვიეს ასეულის მეთაურად ავსტრიის ფრონტზე. ომში, სადაც 1917 წლამდე იბრძოდა, გამოავლინა სიმამაცე და საბრძოლო ნიჭიერება. ალესანდრე სულხანიშვილი იგონებს: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო განსახიერება ქართველი რაინდისა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დინჯი, დარბაისელი და უაღრესად კეთილი გულის პატრონი. ისეთი თვისებებით დაეჯილდოვებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა ყურადღებას. ის ძალიან უყვარდა ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდეც. როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკე-

თესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ მხედრად იყო დაბადებული“ (ალ. სულხანიშვილი, ჩემი მოგონებანი, სან-ფრანცისკო, 1981წ.).

ავსტრიის ფრონტზე თავის გამოჩენისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი დააჯილდოვეს წმ. გიორგის ჯვრით, თუმცა ამ ომში იგი მძიმედ დაიჭრა და თავისივე სურვილით კავკასიის ფრონტზე იქნა გადაყვანილი. დაჭრილიც კი ხელმძღვანელობდა ზურგის ჯარის საკავალერიო ასეულს. ამ დროს დაიწყო ოსმალეთის ჯარის იერიშები სარიყამიშზედ. მან გასცა ბრძანება მუშა-ჯარისკაცებისთვის თოფების დარიგებისა და „არწივის ბუდის“ ოსმალებისგან უკან დაბრუნების. ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულა და შეძლო „არწივის ბუდის“ დაბრუნება. მალე ოსმალებმა ისევ გაანახლეს იერიშები, რა დროსაც ჩოლოყაშვილი ფეხში დაიჭრა. მას შესთავაზეს ლაზარეთში წასვლა და უფროსობის სხვისთვის გადაბარება. თუმცა, მან კვლავ ფრონტის ხაზზე დარჩენა არჩია, მიუხედავად ჭრილობისა. მისი დამსახურებითა და მეთაურობით მისმა ნაწილმა შეძლო „არწივის ბუდის“ შენარჩუნება. ამ ბრძოლაში ჩადენილი გმირობისთვის ის ოქროს ხმლით დააჯილდოვეს.

განკურნების შემდეგ ქაქუცა შედის გენერალ ნ. ბარათაშვილის მიერ ახლად დაარსებულ ქართულ ცხენოსანთა ლეგიონში ათასეულის მეთაურად. რაზმმა წარმატებული რეიდი განახორციელა და მესოპოტამიის უდაბნოს გავლით შეუერთდა ბრიტანეთის არმიას. ამ ოპერაციის წარმატებული ხელმძღვანელობისთვის ის დაჯილდოვდა წმ. გიორგის მეორე ჯვრით. მცირე დროის შემდეგ მას მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წ. 26 მაისი) ქაიხოსრომ ქართულ ჯარში დაიწყო მსახურება და ცდილობდა თავისი სამხედრო გამოცდილება გამოყენებინა ქართული ჯარის მშენებლობაში. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქაქუცა არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა, მისთვის მთავარი იყო საქართველოს სამსახურში ყოფნა. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, დაბრუნდა საქართველოში და შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში. მსახურობდა სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში, სადაც მეთაურობდა დივიზიონის პირველ ესკადრონს. თავი გამოიჩინა სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომში, ასევე 1919 წლის სოჭის ფრონტზე დენიკინის ნაწილების წინააღმდეგ და გორის მაზრაში ამბოხების ჩახშობის დროს.

1920 წლის ზაფხულიდან მსახურობდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორ ბენიამინ ჩხიკვიშვილთან განსაკუთრებულ მინდობილობათა ოფიცრად. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დასაწყისში, გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად, დასავლეთ საქართველოში გააგზავნეს ახალი ცხენოსანი ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. ომის ბოლო პერიოდისათვის მათ შეძლეს ორი ესკადრონის შექმნა, რომელთაგანაც ერთ-ერთს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩაუდგა სათავეში.

პარტიზანულ მოძრაობაში

1921 წლის 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძისა და საქართველოში რუსეთის ელჩის კიროვის ხელმძღვანელობით მე-11 „წითელი არმია ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრა, რათა საქართველოში არეულობა დაეტრიალებინა. დაიწყო ტერორი ქართული ინტელიგენციის წინააღმდეგ.

მალევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჯარის უკან დახევის და თბილისის დატოვების. დამარცხება საშინლად აღმაშფოთებელი იყო. ეს იყო დამაღონებელი გადაწყვეტილება, მაგრამ რა გაეწყობოდა: „ომი ყოველთვის ომია თავისი დაწერილ-დაუწერელი კანონებით და მოულოდნელობებით, ხოლო შტაბის ბრძანება მე-11 ცნებაა, რომელსაც სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილება მთელი მხედრიონი“ – წერს ალექსანდრე სულხანიშვილი.

1921 წ. 17 მარტს ბათუმიდან გავიდა იტალიური გემი, რომელზედაც ნოე ჟორდანია იმყოფებოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი მას არ გაჰყვა, საქართველოში დარჩა და იწყებს ბრძოლას ახალი – საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

საქართველოს დაკავების დღიდანვე რუსები მუდმივად ცდილობდნენ საუკეთესო მამულიშვილების დევნას, გადასახლებას, დახვრეტას და ქვეყნის დაწიოკებას. ქართველ ერშიც იმავე დღიდან დაიწყო ძალების შემოკრება, დარაზმვა და ბრძოლისთვის მზადება. ერთი ასეთი საშუალება იყო პარტიზანული ბრძოლების გაჩაღება, არევ-დარევის შეტანა მტრის ბანაკში.

ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომელიც გამოირჩეოდა ქართველ მხედრობაში მაღალი პატრიოტიზმითა და გმირული თვისებებით. ქაქუცა იწყებს ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამის შემდეგ ის თბილისში ბრუნდება, სადაც ხვდება ილია ჭავჭავაძის უფროსი დის ვაჟს – კოტე აბხაზს, მაშინდელი პარიტეტული კომიტეტის მეთაურს, რომელთანაც მოლაპარაკება ჰქონდა მოსალოდნელი ბრძო-

ლების თაობაზე, შემდეგ კი კახეთში გადადის და ქმნის 6-კაციან ჯგუფს – „საქართველოს შეფიცულებს“, ამ ჯგუფს ორგანიზაცია უნდა გაეკეთებინა პარტიზანული ბრძოლის დაწყებისათვის. კახეთის გარდა მან სანდო პირები გაგზავნა საქართველოს სხვადსხვა კუთხეებში (დუშეთსა და გორის მაზრებში), რათა შეექმნა ფარული ორგანიზაციები.

1922 წლის 12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად ქიზიყიდან ალვანის ტყეში გაიჭრა, ბრძოლა გამოუცხადა რუსებს და პარტიზანული ბრძოლაც დაიწყო. პირველი შეტაკება ქაქუცას და მის შეფიცულთ წითელ რაზმელებთან ქალაქ სიღნაღთან მოუხდათ 1922 წლის ივნისში და აქედან დაიწყო ამ ორი მოწინააღმდეგე ბანაკის თითქმის 4-წლიანი ბრძოლის ისტორია. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ქაქუცა და მისი თანამებრძოლები კახეთში დამარცხდნენ, რის შემდეგაც ისინი ხევსურეთში გადავიდნენ, სადაც რაზმის წევრებმა ერთმანეთს საზეიმოდ შეჰფიცეს, რომ მედგრად იბრძოლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. ამ ფიცის გამო მათ „შეფიცულთა რაზმი“ ეწოდათ.

ორგანიზებული პოლიტიკური წინააღმდეგობის გასაწევად 1922 წლის მაისის დამდეგს საქართველოში შეიქმნა დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი) – ხუთი ანტიბოლშევიკური პარტიის გაერთიანება. ამ ორგანოს დაექვემდებარა „სამხედრო ცენტრი“, რომლის მთავარი ძალა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცული ძმები გახდნენ. დამკომმა დაადგინა, რომ ერთადერთი გამოსავალი აჯანყება იყო. შეფიცულთა რაზმმა აჯანყება იმავე წლის ივნისში დაიწყო. დაიწყო ის გმირული ბრძოლა, რომლის დროშაც ჩოლოყაშვილი იყო. პირველი შეტაკება სიღნაღთან მოხდა წითელი არმიის ნაწილებთან. ქაქუცა პარტიზანულად მოქმედებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. მთელი ხევსურეთი ფეხზე დადგა. დიმიტრი ჭინჭარაულმა მიმართა ქაქუცას: „შენ გხვდა წილად შენი წინაპრების საკეთილდღეოდ, რომ ეს პატარა რაზმი გადააქციო ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სიდიდე“.

თავდაპირველად ჩოლოყაშვილის რაზმმა გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ მეორე ძლიერი შეტევა ველარ მოიგერია, იძულებული გახდა ალყა გაერღვია და თავი კახეთისთვის შეეფარებინა. საბჭოთა ხელისუფლებამ ხევსურეთს წითელი არმია შეუსია და ააოხრა. აჯანყება დამარცხდა, საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიული ღონისძიებების გატარება დაიწყო. ამბოხების მოწყობაში ეჭვმიტანილი პირები დაპატიმრეს და დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის იყვნენ „სამხედრო ცენტრის“ წევრები: გენერალი კოტე აბხაზი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და სხვა. რუსულმა ჯარმა ააოხრა ხევსურეთი, კახეთი, სვანეთი, გურია. პირველი პარტიზანული კომპანიის წარუმატებლობის შემდეგ ქაქუცა ჩეჩნეთში გაიქცა. ჩოლოყაშვილს სურდა ჩეჩნებთან გაერთიანებულიყო და ერთად ეომათ რუსების წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, ერთიანი ძალებით შეტევა მაინც ვერ მოხერხდა.

ამის შემდეგ ქაქუცა დაბრუნდა საქართველოში და ბრძოლები გაანახლა. ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიღუპა მისი ძმა სიმონ ჩოლოყაშვილი. მიუხედავად ამისა, ქაქუცა ბრძოლას განაგრძობდა, ხელისუფლება კი – მის დევნას. მალევე მისი ოჯახის წევრებიც დააპატიმრეს: მეუღლე და ორივე ქალიშვილი, შვიდი წლის თამარი და სამი წლის ქეთი. ქეთი იმავე დღეს გამოუშვეს, თუმცა მეუღლე და თამარი სამი დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალი ამყოფეს თელავის მილიციაში, რის შემდეგაც დასუსტებულები გაათავისუფლეს. ამის მიუხედავად, ისინი მალევე კვლავ დაიჭირეს, მათთან ერთად დააპატიმრეს ქაქუცას ნათესავებიც, დააპატიმრეს ასევე „დამკომის“ წევრები და დახვრეტა მიუსაჯეს.

ბოლშევიკური მთავრობა ცდილობდა ქართველი პატრიოტების დისკრედიტაციას, მათ ბანდიტებად და მძარცველებად წარმოაჩენდნენ, რათა მოსახლეობის მხრიდან მათი თანგრძნობა და მხარდაჭერა კი არა, არამდედ ზიზღისა და სიძულვილის გრძნობები გაეღვივებინათ. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ისტორიული ფაქტი: 1922 წელს ვაჟა-ფშაველას ვაჟს ლევან რაზი-

კაშვილს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარს, ბრალი დასდეს ბანდიტიზმში და დააპატიმრეს. 3-5 დეკემბერს საგანგებო კომისიის სხდომაზე ლევანს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯეს. ქართველმა მწერლებმა, შალვა დადიანმა, პავლე ინგორყვამ და ალექსანდრე აბაშელმა თხოვნით მიმართეს სერგო ორჯონიკიძეს, რომ შეეწყალებინათ ვაჯა-ფშაველას შვილი, ლევანი, რაზეც სერგო ორჯონიკიძეს ცინიკურად უპასუხია: – „ლევანი კი არა თვითონ ვაჟა, რომ იყოს ცოცხალი, იმასა დავხვრეტდიო“.

ამ ფაქტის მიუხედავად ხალხის სიყვარული, თანაგრძნობა და მხარდაჭერა მიმართული იყო სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პატრიოტებისკენ.

ამ დღიდან ქართველების მამულიშვილური ზრახვა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მის გმირულ რაზმთან იყო გადაბმული. ვისაც კი სამშობლოსთვის გული უცემდა და ბრძოლისთვის მკლავიც უჭრიდა – ქაქუცასკენ მიიწევდა. ამ ძნელ და რთულ საქმეს სჭირდებოდა ხალხის სიმრავლე, რომ შემდეგ ფუნქციები განაწილებულიყო. შეიქმნა, და გაიზარდა ბრძოლის ეს დიდი კავშირი, რომლის სიმტკიცე თვით ხალხის წიაღში იყო.

აგვისტოს აჯანყება

1923 წელს ქაქუცას რაზმი რამდენჯერმე დაესხა თავს წითელ არმიას. ამავე წლის აპრილში საიდუმლო სამხედრო კრებაზე გადაწყდა ახალი მასშტაბური აჯანყების მომზადება.

„დამკომმა“ გადაწყვიტა აჯანყება 1924 წლის აგვისტოში დაწყებულიყო, მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე.

ქაქუცა აქტიურად მონაწილეობდა აჯანყების მომზადებაში. მან თითქმის 600-მდე კაცის მოგროვება შეძლო.

1924 წლის აჯანყება დანიშნული იყო 17 აგვისტოსთვის (თუმცა ცვლილების გამო ის 29-ისთვის გადაიდო), რომელშიც მონაწილეობა დასავლეთ საქართველოსაც უნდა მიეღეო და ერთდროულად უნდა დაწყებულიყო გამოსვლებიმთელი საქართველოს მასშტაბით. მაგრამ რეგიონებს შორის კომუნიკაციისა და კორდინაციის სირთულის გამო, ჭიათურაში აჯანყება ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს დაიწყო, რამაც გეგმები აურია შეთქმულებს და ბოლშევიკებს აჯანყების ჩახშობა გაუადვილა.

1924 წლის 29 აგვისტოს ქაქუცას მცირერიცხოვანმა რაზმმა მთლიანად მოახერხა მანგლისის აღება. ქაქუცა გადავიდა აღმოსაველთ საქართველოს მთიანეთში და დალაშქრა დუშეთი, რომელიც მალე დატოვა, რადგან დახმარება ვერ მიიღო. ამის შემდეგ, 3 სექტემბერს, მან სვიმონიანთ ხევთან დაამარცხა წითელი არმია, სადაც 200-მდე კაცი, რუსი და ქართველი, ტყვედ ჩაიგდეს. ტყვეები განუიარაღებიათ, ცხენები წაურთმევიათ და გაუთავისუფლებიათ. ჩამორთმეული იარაღი წართმეულ ცხენებზე აუკიდიათ და კახეთის ტყეებში ხევგრძელას მიდამოებში გადასულან. 4 სექტემბერს შიომღვიმის ტყეში დააპატიმეს დამკომის წევრები: კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი. აჯანყების მონაწილეებს და მათ ხელშეწყობაში ეჭვმიტანილთ ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ. 6 სექტემბერს კახეთში მოხდა

სახელგანთქმული ხევ-გრძელას ბრძოლა, სადაც ქაიხოსრომ თავისი უბადლო სამხედრო ნიჭი გამოავლინა და ასეულობით რუს ჯარისკაცს ერთმანეთი დაახოცინა. „ასეთი მარცხის შემდეგ ჩეკისტი მიასნიკოვი საჯარო ლექციაზედ ტფილისში ამბობდა: თავის მოქმედებაში ჩოლოყაშვილი ისეთ პარტიზანულ ტაქტიკას მიმართავს, რომ მასთან რეგულარული ჯარის ბრძოლა უშედეგოაო. ქაქუცამ ამ თავისი ტაქტიკით იმ დღეს ბოლშევიკებს ერთმანეთი ახოცინა“ (ალ. კარგარეთელი, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, პარიზი, 1981წ. გვ. 31-34).

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა რამდენიმე დღე თბილისს უტრიალა, მაგრამ, დარწმუნდა რა, ბრძოლის გაგრძელების ამაოებაში, ოქტომბრის ბოლოს 26 თანამებრძოლთან ერთად თურქეთის გავლით საფრანგეთში გადაიხვეწა.

ეს ის ადამიანია, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის არმიას მწარე დამარცხება აგემა სარიყამიშთან, ხიშტზე წამოცმული თეთრი დროშით გადავიდა საზღვარზე და ოსმალეთს სთხოვა დროებითი თავშესაფარი. კომუნისტი ქართველების მიერ „ბანდიტად“ შერაცხულ და სამშობლოდან გამოდევნილ პატრიოტს თურქმა ოფიცერმა, რომელმაც მიიღო ლტოლვილი ქართველები, პატივისცემის ნიშნად იარაღი უკან დაუბრუნა. ოსმალეთიდან ქართველი რაზმი საფრანგეთის გზას დაადგა. ქაქუცამ დიდი გაჭირვებით მოახერხა, რომ მისი ყველა რაზმელისთვის მიეცათ საფრანგეთსა და პარიზში გამგზავრების უფლება.

საფრანგეთში ქართველი მამულიშვილებისთვის დაიწყო ემიგრანტული ცხოვრება. ქაქუცას ერთ-ერთ შეფიცული აღწერს პარიზში გატარებულ პირველ თვეებს: „დაიწყო ჩვენი დუხჭირი ცხოვრება საფრანგეთში, გაჭირვებულებმა დავიწყეთ სამუშაოს ძებნა. ზოგი საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში გავიფანტეთ, მაღაროებში თუ ქარხნებში სამუშაოს საძებნელად“.

ეს აჯანყება დამარცხდა, ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დატოვეს. აღარ არის დღეს თვით ჩოლოყაშვილიც, მაგრამ დროშა, რომელიც მას ეჭირა, ისევ ფრიალებს; ხმალი, რომელსაც

ის იქნევდა, ისევ ელავს; მისი სახელი სამუდამოდ გადაბმულია ქართველი ერის ბრძოლის ისტორიასთან დამოუკიდებლობისთვის და ამ ისტორიაში შევა როგორც მისი ბრწყინვალე „ეროვნული გმირი“. (ალ. კარგარეთელი, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, პარიზი, 1981წ).

ავსტრიის ფრონტზე და შემდეგ სარიყამიშში მიყენებულმა მძიმე ჭრილობებმა ემიგრაციაში იჩინა თავი. თანამებრძოლებმა ქაქუცა ოსტსაუას სანატორიუმში მოათავსეს, მაგრამ მკურნალობამ ამაოდ ჩაიარა და 1930 წლის 27 ივნისს ის ტუბერკულოზის შედეგად გარდაიცვალა. მისი ნეშტი პარიზის ბერძნულ ეკლესიაში დაასვენეს, 6 დღის განმავლობაში მის კუბოს საპატიო ყარაული არ გამოლევია. ის მძიმე მდგომარეობაშიც კი სამშობლობლოზე ფიქრობდა. მეგობრები ხშირად აკითხავდნენ, ანუგეშებდნენ, იგონებდნენ წარსულს, ერთობლივ ბრძოლებს. მისი მეგობარი თამარ პაპავა იგონებს: „თითქოს მებრძოლ ბელადს ბრძოლის ასპარეზი გამოაცალეს, ოცნება წაართვეს და ახლა ფრთამოტეხილ არწივს ცეცხლს ღვინო უნელებდა და სიმღერამორეულ ცრემლს უშრობდა.

ქაქუცას დაკრძალვაზე უამრავი ხალხი შეიკრიბა, სიტყვით გამოვიდა შალვა ამირეჯიბი: „დღეს ჩვენ ვმარხავთ ადამიანს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მამულს... ჩოლოყაშვილი ხალხს არაფერს დაპირებია და ხალხი მაინც გაჰყვა. მან სთქვა: თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება! ვისაც დამოუკიდებლობა გინდათ – მომყევითო და ამ გარემოებამ ნათელყო ის მთავარი დებულება, მანამდე მიჩქმალული – რომ ქართველ ერს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა უანგაროთ უნდა... ქაქუცა აქაც იმავე სიკვდილით მოკვდა, რა სიკვდილითაც, იქ საქართველოში მრავალი ხალხი დაეცა. ეს სიკვდილი საშობლოსათვის სამსახურია! მათი რიცხვი მრავალია! მაგრამ ეს უამრავი რიცხვი სამშობლოსათვის წამებულთა პირველობას დღეს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს დაუთმობს, ხოლო ცოცხლები ერთხმად იტყვიან, რომ ჩოლოყაშვილი იყო ის შარავანდედად მოსული ქართველი, რომელმაც ჩვენი დროის საქართველო ყველაზე მეტად ასახელა“ (ჟურნალი „სამშობლო“ , პარიზი, ოქტომბერი, 1930წ. #8).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნება საქართველოში პოპულარული გახდა 80-იანი წლების ბოლოდან, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობასთან, განსაკუთრებით კი 1989 წ. 9 აპრილის მოვლენების შემდეგ. მანამდე საბჭოთა საქართველოში მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო, მის გამო მთელი ჩოლოყაშვილების გვარი და ახლობლები იდევნებოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ოჯახზე, რომელმაც არნახული ტანჯვა და წამება გამოიარა. საბჭოთა პრესა ქაქუცას და მის თანამებრძოლებს ბანდიტებად მოიხსენიებდა. 1924 წლის 12 ოქტომბრის გაზეთში დაბეჭდილია ქაქუცას სურათი, რომელსაც ქვეშ ეწერა: „ცნობილი ბანდიტი, რომელიც ნავთის მრეწველთა ერთმა გაზეთმა (საფრანგეთში) გამოაცხადა, აგვისტოში მომხდარ მენშევიკური ავანტიურის გამო, საქართველოს „ეროვნულ გმირად“. ასეთი იყო საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდა, რომლითაც ასე დაუნდობლად ყალბდებოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების ბიოგრაფია. ისინი წლების განმავლობაში ბანდიტებად და ხალხის მტრებად იყვნენ შერაცხულნი, მაშინ, როცა, რეალურად, თითოეული მათგანი სამშობლოსათვის თავდადებული გმირი იყო.

1989 წელს ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი აშშ-ში შეხვდა ჩოლოყაშვილის ერთადერთ ცოცხლად გადარჩენილ თანამებრძოლს, ალექსანდრე სულხანიშვილს, რომელმაც მას გადასცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, რომელიც ქაქუცას სიკვდილის წინ ეჭირა ხელში, ასევე მისი ხმალი და ქამარ-სატევარი. ეს რელიქვიები ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება. 1989 წლის 14 ივლისს, სოფელ მატანში აღნიშნეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადებიდან 101 წლისთავი.

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით 2005 წლის 21 ნოემბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი ლევილის სასაფლაოდან თბილისში გადმოასვენეს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში. მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ქართულმა საზოგადოებამ მის ხსოვნას შესაბამისი პატივი მიაგო და 23 ნოემბერს მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალა.

მისი სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა 200-ლარიანი კუპიურები, რომლებზეც ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტია გამოსახული. მისი სახელი ეწოდა ქუჩას თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში. ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოჩენილ პიროვნებას წარმოადგენს. მისი მხედრული შემართება და პატრიოტიზმი დღეს სათანადოდ იქნა დაფასებული. მენშევიკური მთავრობის წევრებისაგან განსხვავებით, მას არ დაუტოვებია თავისი სამშობლო და ბოლო შესაძლებლობამდე იბრძოდა რუსეთის დამპყრობელი ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მისი გმირობისა და სტრატეგიული მოქმედებების შედეგად 1918 წელს სომხეთ-საქართველოს ომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მისმა ესკადრონმა; ქაქუცა ჩოლოყაშვილის მონაწილეობა რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მეტყველებს მის გმირობასა და თავდადებაზე. ქაქუცა ჩოლოყაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების პერიოდის ეროვნულ გმირად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

საინტერესოა გური ხუნწარიას მოგონებები ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, თავის დიდ პაპაზე: „ცხადად მახსოვს, ფანქრით დახატული ქაქუცას პორტრეტი გვეკიდა წინ და რამეს თუ დავაშავებდი, მეუბნებოდნენ: ქაქუცა პაპას ეწყინებაო“...

ის ერთ ამბავსაც გვიყვება: „უაღრესად თბილი და კეთილი კაცი ყოფილა. როგორც მისი ნაცნობები იხსენებენ, გამოირჩეოდა თავმდაბლობით, დახვეწილობით, უსამართლობას ვერ იტანდა, დაჩაგრულს აუცილებლად ექომაგებოდა. ერთხელ, თურმე, ქაქუცა და მისი მეგობრები თბილისში, ერთ-ერთ სახლში, მეოთხე სართულზე გამართულ წვეულებაზე ყოფილან. ერთი დაგვიანებით მისულა, და-

ქირავებულ მეკურტნეზე ამხედრებული. ქაქუცას ეს არ მოსწონებია და მეგობრისთვის უთქვამს, ახლა თვითონ შეისვი მეკურტნე, ქვევით ჩაიყვანე და შენი ფეხით ამოდიო.“

ამასთანავე გური პასუხობს ერთ-ერთ კითხვაზე, რომ არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თუმცა ეროვნულ-დემოკრატებთან უფრო ახლოს იყო. მაგრამ ყველანაირ კონტექსტში ის ემსახურებოდა სამშობლოს“.

ქაქუცას სიმამაცის შესახებ ხალხში დღემდეა შემორჩენილია ერთი საინტერესო ამბავი: მის ახალგაზრდობაში, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მის მშობლიურ სოფელ მატანს თავს ლეკები დასხმიან და რაც სოფელში საქონელი ყოფილა, სულ დაღესტანში გაურეკიათ. ამ დროს ქაქუცა სოფელში არ ყოფილა. როდესაც დაბრუნებულა და ეს ამბავი გაუგია, მარტო წასულა ლეკებთან პრობლემის მოსაგვარებლად. მისულა ლეკებთან და ასე უთქვამს: „დღეს მე აქ მარტო ამოვედი თქვენთან სალაპარაკოდ, გირჩევნიათ სოფლიდან წამოყვანილი პირუტყვი ხვალვე უკლებლივ დააბრუნოთ სოფელში, თუ არადა რაც მოგივათ, მერე თქვენს თავს დააბრალეთო“. უკან გამობრუნებული ქაქუცა სანამ სოფელში ჩავიდოდა, ლეკებს გზაშივე დაუწევიათ სოფლიდან გარეკილი საქონელი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გმირობაზე უამრავი ლექსი და სიმღერაა დაწერილი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა 26 წლის ფშაველი გლეხის, ქაქუცას შეფიცულის მიხა ხელაშვილის ლექსები. მისი ერთ-ერთი ლექსის რამდენიმე სტრიქონია:

ქაქუცა ჩოლოყაშვილი
მოჰქროლავს როგორც ქარია,
თან ახლავს ქართველთ შვილები
თითო ლომების დარია...

ან კიდევ:
ველად გაჭრილა ქაქუცა,
ჩოლოყაშვილის გვარისა,

გვერდში ჰყავს ბევრი ვაჟკაცი
მტრის დამყენები თვალისა,
არ ეშინიათ სიკვდილის,
თავი აქვთ გადადებული,
სურთ საქართველო დაიხსნან,
ურდოთგან აოხრებული.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი აღმოჩნდა იმ სახელოვან გმირთა და წინაპართა შორის, რომლის დროშის ფონზე გამოხატული პორტრეტები მუდმივად ასხივებდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ქარიშხლიან დღეებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყოველთვის იდგა საქართველოს და ქართველი ერის გვერდით. ქაქუცას ისტორია ნათელი მაგალითია, იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაყალბებულმა პროპაგანდამ ვერაფერი დააკლო მის გმირობას. ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციების ნაწილი ადასტურებს იმას, რომ მისი ყოველი ქმედება პატრიოტულია; ხოლო ის მცირე ნაწილი, სადაც ის ანტიგმირად არის წარმოჩენილი, უბრალოდ, ისტორიის პროპაგანდაა. სწორედ ესაა ხელისუფლების მიერ თავისი მიზნებისათვის ისტორიის გაყალბება, რისი მკაფიო მაგალითიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ისტორიაა. ამ ყველაფრის მიუხედავად, დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოს ეროვნული გმირია!

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი გიორგი კვენეტაძე

1924 წლის ეროვნული აჯანყების მონაწილენი ემიგრაციაში, საფრანგეთში